ეწვიეთ ვებ-გვერდს და იკითხეთ ახალი ამბები

22 თებერვალი, 2016 N13

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ორენოვანი გაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

QUO VADIS, BRITAIN? - ბრიტანეთი რეფერენდუმისთვის ემზადება

გვ. 3

ბრიტანეთის ევროკავშირის (იმ დროს ჯერ კიდევ „ევროპულ თანამეგობრობაში“) წევრად დარჩენა-არდარჩენის საკითხზე რეფერენდუმი ჯერ კიდევ ორგანიზაციაში გაწევრიანებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, 1975 წელს გაიმართა. საერთო აზრის გადაწყვეტილებით, გაერთიანებული სამეფო გაერთიანებაში დარჩა, თუმცა აქედანვე მოყოლებული იმ ადამიანთა რიცხვი გაიზარდა, ვინც ორგანიზაციიდან გამოსვლას უჭერდა მხარს. ბოლო დროის გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტთა 34 პროცენტი დარჩენის მომხრეა, 36 - გამოყოფის, 30 პროცენტი კი, როგორც ჩანს, ჯერ არ ჩამოყალიბებულა და კითხვაზე პასუხი არ აქვს.

მონტენეგროს ნატო-ში გაწევრიანების მოლაპარაკებები და პარალელი საქართველოსთან

გვ. 4

მონტენეგრომ ანტი-ატლანტიკური გავლენისა და რუსული პროპაგანდის გადალახვა მოახერხა, რაც დღემდე სერიოზულ საფრთხედ რჩება საქართველოსთვის ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე. მონტენეგროს შემადგენლობაში მცხოვრები სერბები ნატო-ს წევრობას იმის გამო ეწინააღმდეგებიან, რომ ალიანსმა 1999 წელს კოსოვოს ომის დროს სერბეთი დაბომბა. მონტენეგროელთა ნაწილი “მიუმხრობლობის მოძრაობის“ მხარდამჭერად რჩება. ეს მოძრაობა კი ნებისმიერ სამხედრო თუ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდის. მსგავსი სახის პრობლემები საქართველოსაც გააჩნია. ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (დიდწილად პოსტ-საბჭოთა სენტიმენტების გავლენით) მიიჩნევს, რომ საქართველო ალიანსის წევრი არ უნდა გახდეს.

რამდენად შესაძლებელია 19 სამინისტროს ოპტიმიზაციის განხორციელება?

გვ. 2

ნახშირხელფასები, მუშების გაფიცვა და ცარიელი მაღარო

გვ. 8

მარიამ ჯაში: ჩვენ ვქმნით ისტორიებს ათი ათასობით ადამიანთან ერთად

ექსკლუზივი გვ. 10

თბილისში შუშისთვალება 90-იანელი ბიჭები დაბრუნდნენ?!

გვ. 11

“YAMAHA”-ს კონკურსზე ქართველი მუსიკოსი საუკეთესო ხუთეულში შევიდა

ექსკლუზივი გვ. 12

რამდენად შესაძლებელია 19 სამინისტროს ოპტიმიზაციის განხორციელება?

საღომე ხვედელიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ 16 თებერვალს რუსთავი 2-ის გადაცემა „არჩევანის“ ეთერში განცხადება გააკეთა ქვეყანაში არსებული 19 სამინისტროს ოპტიმიზაციის თაობაზე. მისი თქმით, სამინისტროების რაოდენობის შემცირების პროცესი ხელს შეუწყობს ბიუროკრატიის შემცირებას და ამასთანავე ასობით მილიონი ლარის დაზოგვის საშუალებასაც მოგვცემს.

ქადაგიძემ ის სამინისტროებიც დაასახელა, რომელთა გაუქმება ან სხვა სამინისტროებთან მიბმა შესაძლებლად მიაჩნია. კერძოდ, მას შემდეგ, რაც პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს გამოეყო, ის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გაუქმებას ემხრობა და პრობაციისა და პენიტენციურ სისტემას იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში ხედავს, როგორც ეს ევროპის ბევრ ქვეყანაშია. მან ასევე განაცხადა, რომ შესაძლებელია კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების გაუქმება, ხოლო ამ უკასკნელის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის განათლების ან თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარება. ქადაგიძე კულტურის სამინისტროს არსებობის საჭიროებას, რომელსაც მან საბჭოთა გადმონაშთი უწოდა, ვერ ხედავს. დაბოლოს, ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა ევროინტეგრაციის სამინისტროს საგარეო საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტად ჩამოყალიბების შესაძლებლობაზეც აღნიშნა.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გიორგი ქადაგიძის განცხადებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ზოგიერთი დეპუტატის თქმით, სამინისტროების ოპტიმიზაციაზე საუბარი ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე იქნა გაჟღერებული, თუმცა ამასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყეტილება და გეგმა არ მიუღიათ. როგორც ჩანს, მომავალში ისინი მართლაც არ გამორიცხავენ ოპტიმიზაციის პროცესის დაწყებას.

პარლამენტარების დიდი ნაწილი და მინისტრები კახი კალაძის, გიგლა აგულაშვილისა და კახა კახიშვილის სახით, იზიარებენ ახალ ინიციატივას, თუმცა პოლიტიკური პირების მხრიდან განსხვავებული მოსაზრებებიც გაჟღერდა. დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა ქადაგიძის გამოსვლა სამთავრობო სტრუქურების მუშაობაში ჩარევად შეაფასა და მისი პოლიტიკაში მოსვლის სურვილად აღიქვა; ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს თქმით კი, ცალკეული მინისტრის პოსტის გაუქმება დიდი რაოდენობის თანხების დაზოგვას არ გამოიწვევს.

იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სამინისტროები და სახელმწიფო სამსახურები შეიძლება დაექვემდებაროს გაერთიანება - ოპტიმიზაციას, გამოკითხული პარლამენტართა უმრავლესობა განცხადების გაკეთებისგან თავს იკავებს. მანამდე კი, საპარლამენტო უმცირესობამ პრემიერ-მინისტრს მოუწოდა დისკუსიის დაწყებისა და შეხვედრის თარიღის შერჩევისკენ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს მაგალითის აღება წარმატებული დასავლური ქვეყნებისგან შეუძლია. ვინაიდან, საქართველოს წონისა და მასშტაბის მქონე ქვეყნისთვის, 19 სამინისტრო ფუფუნებაა და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მან ყურადღება გაამახვილა ჰოლანდიასა და შვეიცარიაზე და ნიმუშად შვეიცარიის სამთავრობო მოდელი მოიტანა, რომელიც 8 სამინისტროსგან შედგება. შვეიცარიაში თითოეული სამინისტრო ათამდე სხვადასხვა დეპარტმანეტს აერთიანებს. სოციალური დაზღვევის, განათლებისა და კვლევის, კულტურისა და სხვა სფეროს დეპარტამენტები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია; ეკონომიკის სამინისტრო კი აერთიანებს ეკონომიკის ოფისს, სოფლის მეურნეობას, პროფესიულ განათლებასა და ტექნოლოგიებს.

ევროპის ქვეყნებში სამინისტროები, იმის გათვალისწინებით, რომ მათ უმრავლესობაში მოსახლეობის რაოდენობა საქართველოზე დიდია, გაცილებით ნაკლებია. შვედეთში 12 სამინისტროა, ფინეთში - 11, საფრანგეთში -15, გერმანიაში - 14, ბალტიისპირეთის ქვეყნებში კი, რომელთა წარმატება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსთვის სამაგალითოა, 11-14 სამინისტრო ფუნქციონირებს (ლატვია - 11, ლიტვა, - 14, ესტონეთი - 11). მსგავსად ევროპული ქვეყნებისა, საქართველოში 14 სამინისტრო ფუნქციონირებდა, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, უკვე არსებული სამინისტროების რიცხვს დაემატა ევროინტერგრაციის სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

სამინისტროების ოპტიმიზაციის პროცესი სირთულეს წარმოადგენს შეთანხმების მიღწევის მხრივ, კერძოდ, რომელი სამინისტროები უნდა შეირჩეს და რა კრიტერიუმებით. მაგალითად, სახელმწიფო მართვის კუთხით, ენერგეტიკის დარგი დღეს მეტად დეცენტრალიზებულია და მინისტრსაც მეტწილად წარმომადგენლობითი ფუნქცია აკისრია. ასევე შეიძლება საუბარი ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების შერწყმაზე და ენერგეტიკის სამინისტროს აღნიშნულ ორ სამინისტროსთან გაერთიანებაზე. ექსპერტების აზრები ასეთ საკითხებში იყოფა. ქადაგიძისეულ ინიციატივას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. კულტურის სამინისტრო ფუნქციონირებს ბევრ ევროპულ ქვეყანაში, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ბელგია, ბალტიისპირეთის ქვეყნები და სხვ. თავად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის თქმით, სამინისტროს არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ შეიძლება იდგეს.

სამინისტროების ოპტიმიზაციაზე საუბრისას პრობლემას წარმოადგენს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში და მით უფრო, სამინისტროებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. სახელმწიფო ფუნქციების დელეგირება საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე უნდა მოხდეს. ისეთი დარგები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, არ შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ სახელმწიფოს უფლებამოვალეობას. თუმცა საქართველოში ახლახანს დანერგი-ლი „საჯარო - კერძო პარტნიორობის“ *(Public - private partnership, PPP)* პროექტი სავარაუდოდ მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს. მსგავსი სახის პროექტები წარმატებით ხორციელდება ლატვიაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.

2015 წლის მონაცემებით, 141 საჯარო დაწესებულებაში (არასრული სია) დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 72 726 ადამიანს შეადგენს. მათ შორის, 27 000-ზე მეტი ადამიანი მთავრობის ადმინისტრაციასა და სამინისტროებშია დასაქმებული, 33 000-მდე სამინისტროების დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში, 5-5 ათასი ადგილობრივ თვითმმართველობებსა და დამოუკიდებელ სსიპ-ებში და ა.შ. საჯარო სექტორში დასაქმებულთა თითქმის 38% მუშაობს მთავრობის ადმინისტრაციასა და სამინისტროებში. პროცენტულად აღნიშნულ სტრუქტურებში საქართველოს მოსახლეობის გასათვალისწინებელი ნაწილია დასაქმებული. ბუნებრივია, სამინისტროების შეერთებისა და გაუქმების საკითხმა თანამშრომელთა მხრიდან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ოპტიმიზაციის პროცესი უამრავი ადამიანის საჯარო სექტორიდან კერძოში გადასვლას გამოიწვევს, რაც დამატებით პრობლემებს შექმნის.

სამინისტროების გაერთიანების სავარაუდო შედეგების შესახებ მინისტრის აპარატსა და პარლამენტის წევრებს განცხადება არ გაუკეთებიათ. თუმცა აღინიშნა, რომ ოპტიმიზაციის პროცესს კარგი გეგმა და დიდი დრო სჭირდება. არჩევნების მოახლოების ფონზე მთავრობა თავს იკავებს ყველაზე ნაკლებად საჭირო კადრების გათავისუფლებაზეც კი. მაშინ, როცა ოპტიმიზაციის პროცესი ბევრ ცვლილებასთანაა დაკავშირებული, ინიციატივის განხორციელებას მიმდინარე წელს არ უნდა ველოდოთ. ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, დღეს საქართველოს სამინისტროების ოპტიმიზაცია საჭიროა, რაც არა მხოლოდ ბიუროკრატიის შემცირების რესურსი გახდება, არამედ საბიუჯეტო თანხების არარაციონალურ ხარჯვაზეც დადებითად აისახება და კერძო სექტორსაც უფრო აქტიურს გახდის. ამასთან ერთად, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა სამინისტროების რაოდენობის კონკრეტულ რიცხვამდე დაყვანაზე - შვეიცარიის 8 სამინისტრო არ არის ამოსავალი წერტილი - არამედ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ოპტიმიზაციამ ნაკლებად მტკივნეულად ჩაიაროს და შესაბამისი დადებითი შედეგებიც მოიტანოს.

QUO VADIS, BRITAIN? - ბრიტანეთი რეფერენდუმისთვის ემზადება

ბურამ ფცქიალაძე

უკვე რამდენიმე დღეა, ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში შევიდა. ბრიტანეთში ევროკავშირში დარჩენა - არდარჩენის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებაზე სერიოზულად ფიქრობენ. საყოველთაო გამოკითხვა 2016 წლის 23 ივნისს ჩატარდება.

ევროკავშირში მიმდინარე მოვლენების ფონზე, როდესაც მიგრანტების პრობლემა მწვავედ დგას და გაერთიანებას სხვა მნიშვნელოვანი საკითხები აქვს გადასაჭრელი, მუდამ იზოლაციისკენ მიმართული ბრიტანეთი მის, როგორც ერთიანი ევროპული ოჯახის წარმომადგენლის წევრობას ამჟამადაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

რეფერენდუმის ჩატარების საკითხი აქტიურად დაისვა ჯერ კიდევ 2012 წელს, თუმცა პრემიერმა კამერონმა მისი ჩატარების აუცილებლობა უარყო, თუმცა იქვე დასძინა, რომ მომავალში საყოველთაო გამოკითხვის საკითხი აუცილებლად დადგებოდა დღის წესრიგში. 2013 წლის იანვარში მან გამოაცხადა, რომ თუკი 2015 წელს არჩევნებში გაიმარჯვებდნენ, კონსერვატიული პარტია რეფერენდუმს 2017 წლის ბოლომდე ჩაატარებდა. მართლაც, კამერონის პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა.

ბრიტანეთში ევროკავშირის მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიაა, რომელიც 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა და 2004 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში ბრიტანეთში მესამე ადგილი დაიკავა, 2009 წელს - მეორე, 2014 წელს კი - პირველი. აღნიშნული პარტიის ლიდერები აქტიურ კამპანიას უწევენ ევროკავშირიდან გამოსვლას.

გასული წლის არჩევნებზე როგორც ლიბერალურ - დემოკრატიულმა, ისე მუშათა პარტიამ უარი განაცხადა რეფერენდუმის ჩატარების თანხმობაზე მანამდე, სანამ ევროკავშირიდან გამოსვლის სათანადო გეგმა არ შემუშავდებოდა. რეფერენდუმის ჩატარების წინააღმდეგ გამოდის შოტლანდიის ნაციონალური პარტიაც. გამოკითხვის ჩატარებას მხარს უჭერენ გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია და მწვანეები. კონსერვატები კი, რომლებმაც არჩევნები მოიგეს, თავად გამოდიან რეფერენდუმის გამართვის ინიციატივით.

ბრიტანეთის ევროკავშირის (იმ დროს ჯერ კიდევ „ევროპულ თანამეგობრობაში") წევრად დარჩენა - არდარჩენის საკითხზე რეფერენდუმი ჯერ კიდევ ორგანიზაციაში გაწევრიანებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, 1975 წელს გაიმართა. საერთო აზრის გადაწყვეტილებით, გაერთიანებული სამეფო გაერთიანებაში დარჩა, თუმცა აქედანვე მოყოლებული იმ ადამიანთა რიცხვი გაიზარდა, ვინც ორგანიზაციიდან გამოსვლას უჭერდა მხარს.

საზოგადოების აზრი ის ორადაა გაყოფილი. ბოლო დროის გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტთა 34 პროცენტი დარჩენის მომხრეა, 36 - გამოყოფის, 30 პროცენტი კი, როგორც ჩანს, ჯერ არ ჩამოყალიბებულა და კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ორგანიზაციიდან გამოსვლის მომხრეების მიაჩნიათ, რომ ევროკავშირი ბრიტანეთს აფერხებს, ბიზნესში მათთვის მიუღებელ კანონებს უწესებს, ყოველწლიურად ბრიტანეთის არაერთ მილიარდ ფუნტ სტერლინგს განკარგავს და სანაცვლოდ ქვეყანა ბევრად ნაკლებს იღებს. მათ ასევე სურთ, რომ გაერთიანებულმა სამეფომ თავად აიღოს სრული კონტროლი საზღვრებზე და შეამციროს იმ ხალხის რაოდენობა, ვინც ქვეყანას სამუშაოს საძებნელად აკითხავს. ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია თავისუფალი გადაადგილება, რაც ნიშნავს, რომ მის მოქალაქეს სხვა ქვეყანაში გადასასვლელად ვიზის აღება არ სჭირდება. ისინი ასევე ეწინააღმდეგებიან ევროპის ქვეყნების უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ან ე.წ. „ევროპის გაერთიანებული შტატების შექმნას".

თავად დევიდ კამერონი ევროკავშირში დარჩენის მომხრეა, ისევე, როგორც, მუშათა პარტია, შოტლანდიის ნაციონალური პარტია, ლიბერალ - დემოკრატები. მათ მიაჩნიათ, რომ ბრიტანეთი ევროკავშირის წევრობით უფრო მეტს იღებს, ვიდრე გასცემს. მისი წევრობა ქვეყანას საშუალებას აძლევს, მის წევრ ქვეყნებში საკუთარი პროდუქცია უფრო მარტივად გაყიდოს. მათივე არგუმენტით, ის ახალგაზრდები, რომლებიც ბრიტანეთში შედიან, ხელს უწყობენ ეკონომიკის ზრდას და საზოგადოებრივი სერვისების გაუმჯობესებაში ეხმარებიან. მათივე აზრით, ბრიტანეთის სტატუსი მსოფლიოში ევროკავშირიდან გამოსვლით დაზარალდება, მისი წევრობით კი, ის უფრო მეტად დაცულია.

მიუხედავად კამერონის დამოკიდებულებისა ბრიტანეთის გაერთიანებაში დარჩენის საკითხთან დაკავშირებით, ის კარგად ხვდება, რომ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებებია საჭირო, რის გამოც „დაუნინგ სტრიტსა" და ევროკავშირს შორის ბოლო პერიოდში გამუდმებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ნოემბერში ევროპული საბჭოს პრეზიდენტისთვის, დონალდ ტუსკისთვის გაგზავნილ წერილში კამერონის მთავრობა ევროკავშირთან ოთხ ძირითად მიმართულებას აყალიბებს.

პირველი მიმართულება ეხება ინტეგრაცია / სუვერენულობას: როგორც ითქვა, ბრიტანეთი განზე დგას „უფრო ახლო კავშირის" შექმნისგან, რაც მეტ პოლიტიკურ ინტეგრაციას გულისხმობს. ოფიციალური ლონდონის სურვილია, გაერთიანების წევრ დიდ ქვეყნებს მეტი სამართლებრივი უფლება მიანიჭონ. მაგალითად, ბრიტანელები ემხრობიან „წითელი ბარათის" სისტემის შექმნას, რაც მის წევრ ქვეყნებს არასასურველ დირექტივაზე ვეტოს დადების საშუალებას მისცემს.

ასევე, ბრიტანეთს სურს საერთო ვაჭრობის გაფართოება და ზედმეტი რეგულაციების გაუქმება. კუნძულოვანი სახელმწიფო უარყოფითად უყურებს ქვეყანაში მიგრანტების მიღებასაც. კამერონის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ კავშირის ახალი წევრებისთვის თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდოს მანამ, სანამ ეს ქვეყანა ეკონომიკურად სათანადოდ არ განვითარდება. მოლაპარაკებები ეხება ევროს საკითხსაც. ბრიტანეთი ეწინააღმდეგება ყველანაირ რეგულაციას, რომელიც ხაზს უსვამს ევროს, როგორც ევროზონის მთავარ ვალუტას და გარკვეულწილად უგულებელყოფს ფუნტ სტერლინგს.

მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება. მისი შედეგები პირდაპირ განსაზღვრავს ბრიტანეთის მოსახლეობის არჩევანს. ცხადია ისიც, რომ თუკი ევროკავშირი ბრიტანეთის მიმართ გარკვეულ დათმობებზე არ წავა, რეფერენდუმზე ორგანიზაციის დატოვების მომხრეთა რიცხვი აუცილებლად გაიმარჯვებს. სავარაუდოა, რომ ევროპული გაერთიანება ბრიტანეთის მოთხოვნებს ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს, რადგან ისედაც კრიზისულ პერიოდში გაერთიანებული სამეფოს ორგანიზაციიდან გამოსვლა საკმაოდ შეარყევს ევროკავშირის სიძლიერეს და, შესაძლოა, სხვა ქვეყნებსაც უბიძგოს, ეჭვქვეშ დააყენონ გაერთიანების წევრობის საკითხი.

მონტენეგროს ნატო-ში გაწევრიანების მოლაპარაკებები და პარალელი საქართველოსთან

ბიოჰბი ჩაფიძე

ჩრდილო - ატლანტიკური გაერთიანება გაფართოების პოლიტიკას აგრძელებს. მონტენეგრო ბოლო კანდიდატი ქვეყანაა, რომელიც 2015 წლის დეკემბერში ალიანსში გასაწევრიანებლად მიიწვიეს. სანამ ნატო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაფართოების სურვილით აჩვენებს, რომ რეგიონში რუსეთის ინტერესებს არ უფრთხის, გაერთიანება ვერ ახერხებს, საქართველოსა და უკრაინას „სამოქმედო გეგმა“ გადასცეს. მთავარ დაბრკოლებად, ცხადია, რუსეთი გვევლინება. ნატო-ს კრემლის გავლენის სფეროში შეიჭრა არ სურს. როგორც ჩანს, ალიანსს გადაწყვეტილი აქვს ბალკანეთის “ათვისება” და მისი ინტეგრირება. რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში შედარებით მოკრძალებულია, რის გამოც ორგანიზაცია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაფართოების გეგმას ახორციელებს.

მონტენეგროსა და საქართველოს სრულიად განსხვავებული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა გააჩნიათ, თუმცა, რუსეთს ბალკანეთის პატარა სახელმწიფოს მიმართაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. მონტენეგროს პრო-რუსული ძალები ქვეყნის ალიანსთან დაახლოებისა და შემდგომ ინტეგრირების პროცესის თავიდან აცილებას ცდილობდნენ. მსგავსი ძალები მონტენეგროს მთავარი გამოწვევაა ნატო-სკენ ინტეგრაციის გზაზე, რადგან ისინი ოფიციალური პოდგორიცას არჩეული სტრატეგიის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ და საპროტესტო გამოსვლებს უწევენ ორგანიზებას. რუსეთი მხარდამჭერი ძალის მეშვეობით ცდილობს მონტენეგროში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს და ნატო-ში გაწევრიანების პროცესი ხალხზე ზემოქმედების საშუალებით ჩაშალოს.

კრემლმა საკუთარი პოზიცია მოცემულ საკითხზე საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების საშუალებით გაავრცელა, რომელშიც მონტენეგროს ორგანიზაციაში გაწევრიანება პროვოკაციულ ნაბიჯად შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს ალიანსის მიერ საერთაშორისო წესრიგის შეცვლას ემსახურება. რუსეთის ფედერაციამ ასევე მიუთითა, რომ მონტენეგროს ნატო-ში გაწევრიანება ევროპის უსაფრთხოების საკითხებში გარკვეულ პრობლემებს შექმნის და რუსეთ - ნატო-ს ორმხრივ ურთიერთობებზეც გავლენას იქონიებს. ამას გარდა, რუსეთის ფედერაციული საბჭოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიქტორ ოზეროვმა ნატო-ს ინიციატივის გაჟღერებისთანავე განაცხადა, რომ რუსეთი შეწყვეტს მასა და მონტენეგროს შორის ყველა პროგრამისა და წამოწყების პროცესს. მისივე თქმით, მონტენეგრო კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ ნატო-ში გაწევრიანებით რუსეთთან ერთად განსახორციელებელი ბევრი პროგრამა, მათ შორის სამხედრო - ტექნიკური პროექტები, ჩაიშლება. რუსეთის ოფიციალური წრეებიდან საუბარი მიდის იმაზეც, რომ მონტენეგროში არსებული რუსული ინვესტიციები, რაც ბოლო წლებში საკმაოდ მომრავლდა, თანდათან შემცირდება. ოფიციალური მოსკოვი მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანებას დასავლური ელიტების მიერ განხორციელებულ პრო-ამერიკულ შეთქმულებად მიიჩნევს და დასძენს, რომ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში მთავრობა ალიანსში გაწევრიანების მხარდამჭერთა საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებს.

კრემლმა უკვე სცადა მონტენეგროზე გავლენის მოხდენა, თუმცა ამაოდ, რადგანაც მას ამისთვის საკმარისი ბერკეტები არ გააჩნია. მოსკოვი მსგავს სტრატეგიას საქართველოს მიმართაც იყენებს. ის ცდილობს, “რბილი ძალის” მეშვეობით ქართული პოლიტიკური ორიენტაცია ჩრდილოეთისკენ შეცვალოს. სამხრეთი კავკასიის რეგიონში რუსეთის ინტერესები ძირითადი ფაქტორია, რაც გავლენას ახდენს ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე მაშინ, როდესაც მონტენეგროს შემთხვევაში ეს მხოლოდ ერთ ჩვეულებრივ კომპონენტს წარმოადგენდა.

ბოლო პერიოდში მონტენეგრომ ნატოს-თან თანამშრომლობაში საკმაოდ დიდ პროგრესს მიაღწია. 2006 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მან ალიანსთან დასაახლოებლად სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება დაიწყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 5 თვის შემდეგ ნატო-მ მონტენეგრო მიიწვია, ჩართულიყო პროგრამაში “პარტნიორობა მშვიდობის სანაცვლოდ”. სწორედ აქედან დაედო სათავე ორმხივ ურთიერთობებს ალიანსსა და მონტენეგროს შორის. მოცემული ინიციატივის ფარგლებში ბალკანურმა სახელმწიფომ ნატო-ს ძალებთან ერთად გამართული სამხედრო წვრთნების დახმარებით სამხედრო სისტემის მოდერნიზება დაიწყო. ხოლო საქართველო ნატო-მ იმავე პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 1994 წელს მიიწვია. ალიანსი საქართველოს დასავლეთთან ინტეგრირების პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს, თუმცა გაყინული კონფლიქტები და რუსეთის ინტერესები საბოლოო

მიზნის მიღწევისთვის მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორებად რჩება.

მონტენეგრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნატო-ს ეგიდით გამართულ საერთაშორისო მისიებშიც. 2007 წელს ავღანეთში ნატო-ს მისიის ფარგლებში ქვეყანამ სამხედროები გაგზავნა. მონტენეგროსთვის სამოქმედო გეგმის მიცემის საკითხის განხილვა 2008 წელს დაიწყო, 2009 წელს კი ქვეყანას მაპი გადასცეს, რის შემდეგაც ოფიციალურმა პოდგორიცამ ნატო-ს სამხედრო მისიებში მონაწილეობა გააგრძელა. 2010 წელს მისმა მთავრობამ ISAF-ის ფარგლებში ავღანეთში სამხედრო შენაერთი გააგზავნა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან არაწევრ სახელმწიფოდ რჩება საქართველოც, რომელიც ნატო-ს მისიებში ჯარისკაცების საკმაოდ დიდ კონტიგენტს უშვებს. ქართული მხარის ამგვარი ჩართულობა პოზიტიურ ქმედებად და ალიანსთან დაახლოების მცდელობად აღიქმება. ამის მიუხედავად, ოფიციალურ თბილისს „წევრობის სამოქმედო გეგმა“ ჯერ კიდევ არ მიუღია.

მონტენეგრომ ანტი-ატლანტიკური გავლენისა და რუსული პროპაგანდის გადალახვა მოახერხა, რაც დღემდე სერიოზულ საფრთხედ რჩება საქართველოსთვის ნატო-სთან ინტეგრაციის გზაზე. მონტენეგროს შემადგენლობაში მცხოვრები სერბები ნატო-ს წევრობას იმის გამო ეწინააღმდეგებიან, რომ ალიანსმა 1999 წელს კოსოვოს ომის დროს სერბეთი დაბომბა. მონტენეგროელთა ნაწილი “მიუმხრობლობის მოძრაობის“ მხარდამჭერად რჩება. ეს მოძრაობა კი ნებისმიერ სამხედრო თუ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდის. მსგავსი სახის პრობლემები საქართველოსაც გააჩნია. ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (დიდწილად პოსტ-საბჭოთა სენტიმენტების გავლენით) მიიჩნევს, რომ საქართველო ალიანსის წევრი არ უნდა გახდეს. რუსული “რბილი ძალა” ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მისკენ შეაბრუნოს და მონტენეგროს მსგავსად ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაციას ხელი შეუშალოს.

როგორც ჩანს, რუსეთს საქართველოსა და მონტენეგროს მიმართ ერთნაირი მიდგომა აქვს. კრემლი ცდილობს, მონტენეგროს მოსახლეობის საერთო აზრზე გავლენა მოახდინოს ლოკალური ორგანიზაციების დაფინანსებით, რომლებიც ანტი-დასავლურ კამპანიას ეწევიან და არწმუნებენ მოსახლეობას, რომ ნატო-ში გაწევრიანება ქვეყნის ინტერესებში არ შედის. რუსეთს საქართველოსთვის თავისი საგარეო პოლიტიკის გამო სანქციები ჰქონდა დაწესებული და ახლა მსგავს დამოკიდებულებას იჩენს მონტენეგროს მიმართ. საქართველოსა და მონტენეგროს მოსახლეობის ნაწილი ალიანსში გაწევრიანების წინააღმდეგია. მონტენეგროს შემთხვევაში ასეთებად დიდწილად იქ მცხოვრები სერბები გვევლინებიან, საქართველოს შემთხვევაში კი, რუსეთი რუსულად მოსაუბრე ეთნიკურ უმცირესობებს ეყრდნობა. ასეთი მსგავსებების მიუხედავად, გეოპოლიტიკური კონტექსტი საქართველოსა და მონტენეგროს სხვადასხვა პოზიციაში ამყოფებს - მონტენეგრო უკვე ნატო-ს წევრობის პროცესშია ჩართული, საქართველო კი ჯერ კიდევ მაპის მიცემისთვის იბრძვის. სწორედ გეოპოლიტიკური კონტექსტი აყოვნებს ნატო-ს, ახალ ეტაპზე გადაიყვანოს ურთიერთობები საქართველოსთანაც, რაც ქვეყნის მისწრაფებებზე მანამ აისახება, სანამ ალიანსის ან რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების შეცვლა არ მოხდება.

თურქეთი და უკრაინა თავისუფალ სავაჭრო ზონას შექმნიან

ეკა ფხოველიშვილი

თურქეთი და უკრაინა მზად არიან ერთმანეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გასაფართოებლად, მათ შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შესათანხმებლად. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა და მისმა თურქმა კოლეგამ აჰმედ დავითოღლუმ შესაბამის უწყებებს დავალება მისცეს, განაახლონ მოლაპარაკებები, რომლებიც 2013 წელს შეწყდა. კიევში ვიზიტით მყოფმა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თავის უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ მხარეები მზად არიან ეკონომიკური თანამშრობლობის ფარგლებში ხელი მოაწერონ თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას.

„უკრაინასა და თურქეთს შორის თავისუფალ სავაჭრო ზონაზე მოლაპარაკებები 2013 წელს შეწყდა. ჩვენ ერთად მივეცით ინსტრუქციები ჩვენს სამინისტროებს, ახალი ტექნიკური კონსულტაციების დასაწყებად, რათა თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის პროცესზე კვლავ დაგვეწყო საუბარი, რაც მარტში გაგრძელდება“, - დასძინა იაცენიუკმა. გარდა ამისა, მხარეები 2018 წლისათვის ტვირთბრუნვის აყვანას 10 მილიარდ აშშ დოლარამდე გეგმავენ. ამასთან, იაცენიუკმა შესთავაზა თურქეთს, განიხილოს უკრაინის ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებში შემდგომი ინვესტირების საკითხი.

„თავისუფალ სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის საჭიროება უკრაინასა და თურქეთს შორის პირველი პრიორიტეტია იმ აქტუალურ საკითხებში, რომელიც ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას უკავშირდება“, - განაცხადა *DEIK*-ის პრეზიდენტმა ომერი ჩიჰატ ვარდანმა. „ამჟამად თურქი ინვესტორები უკვე გრძნობენ იმ უარყოფით შედეგს, რაც ორ ქვეყანას შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების არარსებობამ გამოიწვია და იმ შემთხვევაში, თუკი პროცესი დამატებით 2-3 წელი გაჭიანურდება, შედეგები აუნაზღაურებელი იქნება“, - აღნიშნა *TUSIB*-ის („თურქეთისა და უკრაინის ინდუსტრიალიზატორებისა და ბიზნესმენების ასოციაცია“) თავმჯდომარემ რასიმ ბექმეჯიმ. *DEIK*-ის ორგანიზაცია 1986 წელს ბიზნესის გაუმჯობესების მიზნით დაარსდა. ის პასუხისმგებელია თურქეთის კერძო სექტორის საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე. არსებობის 30 წლის განმავლობაში *DEIK*-მა 130 ბიზნეს-საბჭო შექმნა.

უკრაინის მსგავსად რუსეთთან პრობლემები აქვს თურქეთსაც, რის გამოც რუსეთში ექსპორტზე გასატანი საქონელი, სხვა ქვეყნებში გაიტანეს. ევროკავშირში თურქეთს თავისი საქონლის 50% შეაქვს. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა უკრაინასთან ერთად თურქეთის როლს რეგიონში კიდევ უფრო გაზრდის. ოფიციალური ანკარას ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ცივი ომის პერიოდში მეზობლებისაგან იზოლირებული და მხოლოდ დასავლეთზე ორიენტირებული იყო, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ქვეყანა მზარდი ეკონომიკითა და ძალიან მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობით - კავშირები ბალკანეთთან, შავ ზღვასთან, კავკასიასთან და ახლო აღმსავლეთთან - დიდი რეგიონული მოთამაშეა.

რუსეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობა საკვანძო ფაქტორია, რაც სავარაუდოდ მნიშვნელოვნად ცვლის რეგიონული უსაფრთხოების სისტემას. უკრაინისა და თურქეთის რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერამ შესაძლოა, რეგიონში რუსული გავლენა შეანელოს. ამის ნიშნები შეხვედრის დროსაც გამოვლინდა, როდესაც უკრაინის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს არის პირველი ზამთარი რუსული გაზის გარეშე. თავის მხრივ, დავითოღლუმ დაგმო რუსეთის ქმედებები ყირიმში და მხარი დაუჭირა უკრაინას, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს.

რეგიონული უსაფრთხოების სისტემაში სიახლის ნიშნები ბოლო თვეებში თურქეთის მხრიდან მოდის. როგორც ჩანს, თავისუფალი სავაჭრო ზონის დაარსება უკრაინასთან ერთად შესაძლებელია, რეგიონში მეტი ძალაუფლების მოპოვებისათვის კარგად გათვლილ გეგმას არ ემყარებოდეს და უფრო თურქეთის საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარე ზოგადი პროცესის ნაწილი იყოს, რომელიც რუსეთის გარეშე დასავლეთის გზაზე ინტეგრაციის მოლოდინში მყოფ უკრაინასთან ურთიერთობის გადასინჯვასა და გადაფასებას ისახავს მიზნად. მოსალოდნელია, რომ თურქეთ-უკრაინის გაღრმავებული პარტნიორობით ორივე ქვეყანა შეინარჩუნებს პრო-დასავლურკურსს და ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ძალების დაბალანსებას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა: მთავრობის ინიციატივა საბანკო ყადაღის დადების შესახებ, პრასერიოზულია

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მე-11 საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრას სპეციალური სტუმრის სტატუსით დაესწრო პრემიერ მინისტრი ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრებს წარუდგინა დაგეგმილი რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას საქართველოში.

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ სრული ნდობა გამოუცხადა პრემიერ მინისტრ კვირიკაშვილს, რომ ის ყურადღებით განიხილავდა ბიზნესის წინაშე არსებულ გამოწვევებს, მათ შორის, კერძო სექტორსა და შემოსავლების სამსახურის ურთიერთობას და უმოკლეს ვადებში გადაჭრიდა არსებულ პრობლემებს, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს საქართველოს საინვესტიციო კლიმატს.

დღეს საერთაშორისო სავაჭრო პალატა ღრმა შეშფოთებას გამოხატავს საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე არსებული საკანონმდებლო ინიციატივის მიმართ, რომლის თანახმად, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება უცვლელად რჩება, გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებიდან 48 საათში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. სასამართლო ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ. საერთაშორისო სავაჭრო პალატა მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა არასერიოზულია, ის არ ეხება გადამხდელთა საბანკო ანგარიშების თვითნებური გაყინვის პრაქტიკას და კვლავ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას ბიზნესისთვის. შემოსავლების სამსახურის ქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრებს, აფერხებს მათ ოპერირებას და ცხადია, აღნიშნული საკითხი უნდა განიხილებოდეს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაჭრა გააუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს.

„გასული ოცი წლის განმავლობაში, საქართველომ, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპარეზზე არც თუ შესაშური რეპუტაცია მოიხვეჭა, რაც ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლების სამსახურთან. მანამ, სანამ საშემოსავლო სამსახურს შეეძლება საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება, ზომაზე მეტად ბიზნესების დაჯარიმება და საგადასახადო დავების განხილვა წლობით, კანონმდებლობის ფარგლებში არსებული ვადების მიღმა, საქართველო არამიზიდველ ქვეყანად დარჩება როგორც ქართველი ბიზნესისათვის, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის. ჩვენ კვლავ ვერ ვხედავთ მთავრობის მკაფიო პოლიტიკურ ნებას, გაუმჯობესდეს ბიზნეს გარემო საქართველოში. იმედგაცრუებას გამოვხატავთ ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული კანონპროექტი ვერ გადაჭრის კერძო სექტორის იმ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა: საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება, აუდიტორული შემოწმებების ვადები, არამართლზომიერი დაჯარიმებები თუ იმ ინსპექტორთა სანქციონირება, რომლებიც ასეთ არამართლზომიერ ჯარიმებს აკისრებენ. მოვუწოდებ მთავრობას, დაუყონებლივ განიხილოს ის რეალური გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს ბიზნესი დგას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საინვესტიციო კლიმატი კვლავ არამიმზიდველი იქნება და ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება, უცხოელ ინვესტორს ვურჩიოთ საქართველოში საქმიანობის დაწყება“ - განაცხადა ფადი ასლიმ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ. საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი ბიზნეს ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც აერთიანებს 6.5 მილიონ ბიზნეს ორგანიზაციასა და 12,000 სავაჭრო პალატას. საერთაშორისო სავაჭრო პალატა რეგულარულად კონსულტაციებს გადის გლობალურ დონეზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: G8, G20, მსოფლიო ბანკი, WTO, WCO და UN. საქართველოში, საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის უმსხვილესი და ყველაზე გავლენიანი ბიზნეს ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 350-ზე მეტ კორპორატიულ წევრს, ახალგაზრდული პროექტის სტუდენტებს, 28 ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცვლილება პოლიტიკური პოპულიზმის ხასიათს ატარებს

ირაკლი ფავლენიშვილი

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2016 წლის 7 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი ტატიშვილისთვის დაცვის გამოყოფა სთხოვა. ეკლესიამ განაცხადა, რომ ტატიშვილი არის ლგბტ საზოგადოების წარმომადგენელი. მანამდე, მოქალაქე გიორგი ტატიშვილმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ მიმართა, რომელიც ქორწინებას მხოლოდ ქალსა და კაცს შორის აღიარებს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ლგბტ საზოგადოების მიმართ უარყოფითი განწყობა ქმნის საშიშროებას, რომ გარკვეული ძალების მიერ ეს მდგომარეობა პროვოცირებისათვის იქნას გამოყენებული და გიორგი ტატიშვილის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას. შსს სამინისტრო არ ავრცელებს ინფორმაციას, გამოუყვეს თუ არა დაცვა გიორგი ტატიშვილს საპატრიარქოს თხოვნის საფუძველზე.

2016 წლის 8 თებერვალს ლგბტ ორგანიზაციები ქორწინების თანასწორობასთან დაკავშირებით გიორგი ტატიშვილის ინიციატივას გაემიჯნენ და განაცხადეს, რომ გიორგი ტატიშვილს არ ჰქონია ლგბტ თემთან საკანონმდებლო ინიციატივაზე დისკუსია და იგი მოქმედებს არა ლგბტ ადამიანების, არამედ საკუთარი სახელით. მათი აზრით, ინიციატივა ქორწინების დეფინიციასთან დაკავშირებით პროვოკაციულია და ლგბტ ადამიანების უფლებების არა დაცვისკენ, არამედ მათი დაზარალებისკენ არის მიმართული. 2016 წლის 9 თებერვალს, გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას მზად აქვს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში გადავა ოჯახის ის დეფინიცია, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია.

1990 წლამდე ჰომოსექსუალიზმი მსოფლიოში დაავადებად იყო აღიარებული, თუმცა მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის დაავადებების სიიდან ამოიღო. დაიწყო ჰომოსექსუალიზმის, როგორც ჩეულებრივი მოვლენის, მსოფლიო მასშტაბით პროპაგანდა, რომელიც 21 ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის პირებისთვის ქორწინებისა და ბავშვების აყვანის უფლების მინიჭების უფლებით დასრულდა. ეს ტენდენცია დღითიდღე იზრდება.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქორწინება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას ემყარება. 2012 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქრისტიანულ - დემოკრატიულმა მოძრაობამ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი მოამზადა, რომელიც ითვალისწინებდა კონსტიტუციის 36-ე მუხლის ცვლილებას შემდეგი რედაქციით: "სახელმწიფო აღიარებს მამაკაცისა და ქალის ქორწინებას, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას". ქდმ-მ ამ ინიციატივის მხარდასაჭერად მაშინ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ეს ინიციატივა ასევე გახდა ჰომოფობიაზე დისკუსიის საფუძველი. 2014 წელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა ინიციატივით, კონსტიტუციაში შეეტანათ ჩანაწერი, რომ "ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა" (სავარაუდოდ მას მხედველობაში ჰქონდა ქორწინება, რადგანაც "ოჯახი" საერთოდ არ გვხდება კონსტიტუციაში). მაშინ ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ოჯახის დეფინიციის კონსტიტუციით გამყარების ინიციატივა განხილული და მოწონებულია კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს მიერ.

თანასწორი ქორწინების საკითხი დარეგულირებული არ არის საერთაშორისო სამართლის მიერ. ერთსქესიანთა ქორწინებისა და პარტნიორული ურთიერთობების მიმართევროპულ სახელმწიფოებშიც განსხვავებული სამართლებრივი მიდგომებია. ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას ევროპის 27 სახელმწიფო აღიარებს (რომელთა უმრავლესობა ევროკავშირის წევრია). ხოლო, ევროპის 49 სახელმწიფოდან ქორწინების თანასწორობაზე კონსტიტუციური შეზღუდვა ევროპის 14 სახელმწიფოს აქვს დადგენილი, მათ შორის ძირითად გვხვდება პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები.

საერთაშორისო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილის მიერ ეს შეზღუდვები მიჩნეულია ჰომოფობიის დანერგვად სახელმწიფოებრივ სივრცეში დემოკრატიული ინსტრუმენტების გამოყენებით. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს სამართლებრივად აღიარონ ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ურთიერთობები. ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ურთიერთობების ოფიციალურად არ აღიარება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის აღუსრულებლობა ხელს უწყობს ლგბტ წყვილების მარგინალიზაციას, არასათანადო და განსხვავებულ მოპყრობას კერძო პირების, ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისა და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გაეროს მიდგომას იზიარებს და ერთი და იგივე სქესის წყვილების პარტნიორული ცხოვრების სამართლებრივ არ აღიარებას ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევად განიხილავს. "ერთი და იგივე სქესის წყვილებს ისევე შეუძლიათ სტაბილური ურთიერთობა ჰქონდეთ, როგორც საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს. ისინი საწინააღდმეგო სქესის მქონე წყვილების მსგავსად არიან, რაც იმავე საჭიროებებს გულისხმობს - მათი ურთიერთობები სამართლებრივად იქნას აღიარებული და დაცული",- ვკითხულობთ სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის კრიტიკული იმ სახელმწიფოების მიმართ, სადაც არ არის პარტნიორული ურთიერთობები სამართლებრივად აღჭურვილი. ეს მიდგომა ნათლად გამოჩნდა „*Oliari and others v. Italy*" და „*Vallianatos and Others v. Greece*" საქმეებში. საქართველოს სახელმწიფო ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ ეს ევროპული სამართლებრივი სტანდარტი დააკმაყოფილოს.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ერთსქესიანთა ქორწინება მიუღებელია. 2012 წელს (NDI)-ის მიერ გამოკითხული მოსახლეობის 89% კონსტიტუციური ცვლილებით ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის მომხრე აღმოჩნდა. ევროკომისარ შტეფან ფულეს მიერ 2014 წელს გავრცელებული განცხადების თანახმად, ევროკავშირი საქართველოსგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვს. „დასავლეთის სურვილი არ არის, სასქართველოს თავს უცხო ქვეყნის ფასეულობები მოახვიოს", - ნათქვამია განმარტებით ბარათში.

ლგბტ პირთა და მათ უფლებადამცველთა დღის წესრიგში ქორწინების საკითხი დღეს პრიორიტეტული არ არის. საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივა არ ემსახურება ქვეყანაში დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას. როგორც ჩანს, ის პოლიტიკური სპეკულაციების საგანი უფროა. სავარაუდოა, რომ მსგავსი თემების წინ წამოწევით ხელისუფლებას სურს საარჩევნო წელს მოახდინოს მთავარი პრობლემების ნიველირება და პოპულისტური საკითხების წამოწევით პოლიტიკური ქულების დაწერა. მსგავსი თემებით მანიპულირება კი ცხადია, დისკრიმინაციული პრაქტიკების გაძლიერებას და ლგბტ თემის განგრძობით და სისტემურ მარგინალიზაციას იწვევს.

ნახშირხელფასები, მუშების გაფრცვა და საჩივრები მაღაროში

თეიმურაზ შა

ტყიბულში მდებარე ძიძიგურისა და მინდელის სახელობის მაღაროებში მომუშავე 1,450 კაციანი პეროსნალი ერთი კვირაა გაფიცულია და აქციებს მართავს. მიზეზი დაბალი ხელფასები და მაღაროებში შექმნილი რთული სამუშაო პირობებია. პასუხისმგებელი კომპანიის, „საქნახშირის“ წარმომადგენლები მაღაროელებს მხოლოდ მე-6 დღეს შეხვდნენ, თუმცა დაპირებები ბუნდოვანი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მაღაროში მუშაობა ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სახიფათო სპეციალობად ითვლება, საქართველოში მაღარაოელთა უფლები შესაბამისად არაა დაცული, არც სამუშაო პირობებია ასახარბიელო, ანაზღაურება კი, ძალიან დაბალია. მაღაროში არსებულ მწვავე პრობლემებზე წლების განმავლობაში მრავალი უბედური შემთხვევა (მათ შორის გარდაცვალების ფაქტები), მაღაროელთა ჯანმრთელობის გაუარესება, დაბოლოს 300-500 ლარიანი ანაზღაურება მიუთითებს.

მეშახტეთა სამუშაო უფლებების დაცვასა და პირობების გაუმჯობესებაზე არც მთავრობა და არც სახალხო დამცველის აპარატი ზრუნავს. (გარდა 2014 წლის განცხადებისა, როცა ომბუდსმენმა უარყოფითად შეაფასა მაღაროებში სამუშაო პირობები მას შემდეგ, რაც სამუშაო ადგილზე ერთი მუშა გარდაიცვალა).

მაღაროელთა უფლებების დასაცავად მთელი რიგი კანონი, კოდექსი და ქარტია არსებობს, თუმცა საქართველოს მთავრობა მათ შერჩევით ახორციელებს. მაგალითად, 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა „ევროპული სოციალური ქარტიის“ რამდენიმე მუხლის რატიფიცირება მოახდინა, მათ შორის მე-3 მუხლი - „უფლება უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებზე“, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ უგულებელყო ვალდებულება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე. დღემდე არ არის რატიფიცირებული შსო-ს 176-ე კონვენცია „მაღაროებში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ“. ამასთან ერთად, 2016 წლის 18 იანვარს საქართველოს მთავრობამ (კერძოდ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ) მიიღო შრომის პირობების ინსპექტირების დადგენილება 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულის საფუძველზეც შეიქნება სამუშაო გუნდი, რომელიც შეიმუშავებს და დაამტკიცებს შრომის პირობების ნორმებს, რასაც ინსპექტირების განხორციელება მოჰყვება.

ტყიბულელ მაღაროელთა მთავარი მოთხოვნა ხელფასების 500-დან 700 ლარამდე გაზრდა და შრომის პირობების გაუმჯობესებაა. მაღაროების მფლობელი კომპანია პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში დუმდა, ხოლო მე-5 დღეს განცხადება ვებგვერდის მეშვეობით გაავრცელეს. „კომპანიის მხრიდან დაცულია ანაზღაურების დროულად მიღების ვადები, დაცულია სახელშეკრულებო პირობები, მეშახტეები უზრუნველყოფილნი არიან დაზღვევის სრული პაკეტით და კომპანიში მუდმივად მიმდინარეობს მეშახტეთა შრომითი პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობა. მიუხედვად იმისა, რომ საპროტესტო აქციის ობიექტური წინაპირობა არ არსებოდა და არ არსებობს, კომპანიის მენეჯმენტი აწარმოებს კომუნიკაციას აქციის მონაწილეებთან“, - ნათქვამია „საქნახშირის“ განცხადებაში.

კომპანია „საქნახშირი“ 2006 წლის აპრილში დაარსდა და მისი ძირითადი საქმიანობა ქვანახშირის მოპოვება და გამდიდრებაა. კომპანია საქართველოში ქვანახშირის აქტივების 100%-ს ფლობს და თავისთავად არის ამ წიაღისეულის ერთადერთი მომპოვებელი. მისი ძირითადი აქტივები ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარე ძიძიგურისა და მინდელის სახელობის მაღაროებია, რომელთა ლიცენზირებული მარაგის ჯამური მოცულობა 331 მილიონი ტონას აღწევს. 2014 წლის მონაცემებით, კომპანიის მთლიანი შემოსავალი 34,3 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო EBITDA (შემოსავლები საშემოსავლო გადასახადებისა და ამორტიზაციის გამოკლების გარეშე) – 8,2 მილიონ ლარს.

17 თებერვალს კომპანიის გენერალური დირექტორი მომიტინგეთა ნაწილს შეხვდა. შეხვედრაზე კომპანიის ხელმძღვანელმა მაღაროელებს სამუშაო ადგილებზე დაბრუნება შესთავაზა და მათ დაპირდა, რომ ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით კომპანიაში იმსჯელებდნენ. ცხადია, მაღაროელები ხელმძღვანელობის წინადადებით უკმაყოფილონი დარჩნენ, რათა ისინი „საქნახშირისგან“ სიტუაციის გამოსწორების მიზნით კონკრეტულ ნაბიჯებს ელიან.

მაღაროელთა პრობლემას ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე გამოეხმაურა. მისი თქმით, დასაქმებულებს შეეზღუდათ სოციალური შეღავათები, ხოლო ნაწილს ხელფასი შეუმცირდა. ჩაფიძე, ვისთან შეხვედრასაც მაღაროელები ითხოვენ, პრობლემაში ჩართულოსბიკენ თავის კოლეგებსაც მოუწოდებს.

“რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მე მინდა პარლამენტის ეს მაღალი ტრიბუნა გამოვიყენო იმისათვის, რომ მივმართო ჩვენი გუნდის ლიდერს, ბატონ ბიძინა ივანიშვლის და ვკითხო მას, რის გამო ისჯებიან ტყიბულელები?! მე მინდა მივმართო საქართველოს მთავრობას, ჩემი გუნდის წარმომადგენლებს. ისინი ვერ იტყვიან, რომ მე ეს საკითხები არ მაქვს დაყენებული. კანონპროექტის ავტორებს, ბატონ ირაკლი ტრიპოლსკის, ბატონ გიორგი ჟორჟოლიანს, ბატონ გია ვოლსკის და ჩემი გუნდის ყველა წევრს, რომ მე არ წავიდე დღეს მარტო ტყიბულელ მეშახტეებთან. ჩვენ ვერ გავექცევით საკუთარ წილ პასუხისმგებლობას“, - განაცხადა ელისო ჩაფიძემ.

ტყიბულში აქციები კვლავ გრძელდება. მათი პრობლემები, სამწუხაროდ, საერთაშორისო უფლედამცველი ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობოების, მთავრობისა და მედიის სათანადო ყურადღების მიღმა რჩება. მეშახტეები კი საზოგადოებისა და ხელისუფლების დახმარების გარეშე დამოუკიდებლად „საქნახშირის“ წინააღმდეგ ვერაფერს გახდებიან. გაფიცულებს სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა კანონის ფარგლებში მოხდეს მათი მოთხოვნების პასუხისმგებელი ორგანიზაციის მხრიდან დაკმაყოფილება. სხვა შემთხვევაში, ისედაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ტყიბულის მოსახლეობა უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან აქ მცხოვრებთა უმრავლესობა სწორედ მაღაროებშია დასაქმებული.

გაეროს ექსპერტი საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებს აფასებს

ყოველწლიურად მსოფლიოში 5 ათას ქალს საკუთარი ოჯახის წევრი კლავს, ყოველ მესამეს კი სხვადასხვა სახის ძალადობა გამოუცდია. უმეტესწილად, მოძალადე მათივე პარტნიორი მამაკაცია. მსოფლიოში უფრო მეტი ქალი კვდება ძალადობის შედეგად, ვიდრე სიმსივნით, ავტო-საგზაო შემთხვევითა და ომის გამო ერთად.

ქალთა მიმართ ძალადობის შედეგად, ამერიკაში ყოველ დღე 3 ქალი იღუპება, 38 028 00 ქალს გამოუცდია ფიზიკური ძალადობა ცხოვრების განმავლობაში, 2003 წლიდან მოყოლებული ქმრის მიერ ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე 18 000 ქალია მოკლული. ძალადობის მსხვერპლთა შორის 95% ქალია.

ქალებზე ნებისმიერი სახის ძალადობა გადაუჭრელ პრობლემად რჩება განვითარებულ ქვეყნებშიც. გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის, კოფი ანანის აზრით, ქალებზე ძალადობა გლობალურ პრობლემად იქცა ყველა ტიპის საზოგადეობასა თუ კულტურაში. ქალები ნებისმიერი რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური წარმოშობისა თუ დაბადების ადგილის მიუხედავად, ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

ეს თემა დღეს უკვე აქტიურად განიხილება, მსოფლიოში მრავალი ორგანიზაცია იკვლევს და ცდილობს გადაჭრის გზები გამონახოს. 25ნოემბერი „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეა“.

თუმცა ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ქალთა მიმართ ძალადობა მწვავედ არ აღიქმება, რადგან კონკრეტულ ფაქტებს ამართლებს საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები გენდერულ თანასწორობაზე.

კვლევების მიხედვით, საქართველოში ყოველი მე-11 ქალი და ფეხმძიმე ქალების დაახლოებით 3% ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. ქალთა 35%-ის ქცევა კი, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოყენებით კონტროლდება. ქალთა 14% აღიარებს, რომ ემოციური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა.

უმეტესწილად, მოძალადე მამაკაცი პარტნიორია და საქმე გვაქვს ოჯახურ ძალადობასთან, სადაც ძირითადად მსხვერპლი ქალია. ესტონელების კვლევის მიხედვით, არსებული 4 ტიპის ძალადობიდან (ფიზიკური, ემოციური, სექსუალური, ეკონომიკური) საქართველოში ფიზიკური ძალადობა ლიდერობს.

კვლევის თანახმად, ქართულ ოჯახში ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის პრობლემის არსებობას ექიმების 50% ადასტურებს. სექსუალური ძალადობა საქართველოში ტაბუდადებულია და ამ თემებზე დაზარალებულები იშვიათად საუბრობენ. ყოველი მეორე ექიმი თვლის, რომ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გათხოვილი დაახლოებით 30 წლის ქალბატონებია, სექსუალური ძალადობის კი - 13-18 წლის გოგონები. გინეკოლოგთა 9%-ს ჰქონია შემთხვევა, როცა ფეხმძიმე ქალებს ძალადობის შედეგად ნაყოფი დაუზიანდათ.

ქალთა ძალადობის პრობლემის შეფასების მიზნით მთავრობის ინიციატივით საქართველოში 5-დღიანი ვიზიტით გაეროს ადამიანთა უფლებების ექსპერტი დუბრავკა სიმონოვიჩი იმყოფებოდა. 19 თებერვალს მან პრეს-კონფერენცია გამართა, შეაფასა არსებული პრობლემები და ისაუბრა გადაჭრის გზებზე.

მისი თქმით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საკანონმდებლო აქტები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის შესახებ. ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, რომ იზრუნებს ქალების ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ოჯახურ ძალადობას. მიუხედავად მიღებული კანონებისა, ქალთა ძალადობის წინააღმდეგ არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი ზომებისა, ქვეყანაში არ არსებობს სპეციფიური კანონმდებლობა, რომელიც გენდერული ძალადობის შემთხვევებს აღკვეთავს. და სიმცირეა ასევე, თითქმის არ არსებობს მექანიზმები, რომლის საშუალებითაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს კოორდინირება, ეფექტურად დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას. ქვეყანაში, სადაც მკაცრადაა დამკვიდრებული პატრიარქალური მიდგომები, გენდერული სტერეოტიპები ხელს უწყობს გენდერული ძალადობის მიმართ შემწყნარებლობას და ოჯახური ძალადობა არა საზოგადოებრივ, არამედ პირად საქმეში ჩარევად აღიქმება დღის წესრიგში მსგავსი კანონების დანერგვის აუცილებლობა დგება.

გაეროს ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა პრევენციის ხელშეწყობის მნიშვნელობასა და ცნობიერების ამაღლების კამპანიის გაგრძელების საჭიროებაზე, რომელიც ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების უფლებების ცოდნის გავრცელებას მოსახლოებაში. „ყველა ქალსა და გოგონას აქვს უფლება იცხოვროს ძალადობის გარეშე“, - აღნიშნა დუბრავკოვმა. მან, ასევე, რეკომენდაცია მისცა სასკოლო განათლებაში გენდერული თანასწორობის შესახებ საგანის შეტანას.

დუბრომოვიჩი ემხრობა მთავრობის წამოწყებას და მხარს უჭერს პოლიციის ოფიცრებისთვის ტრენინგების ჩატარებას სოფლებშიც. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, ექიმებისა და მასწავლებლების გადამზადებაც, რომელთაც ერთ-ერთი ძირითადი როლი უკავიათ ძალადობის შემთხვევის გამოვლენაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძალადობის გამო ისჯებიან ტყიბულელები?! მე მინდა მივმართო საქართველოს მთავრობას, ჩემი გუნდის წარმომადგენლებს. ისინი ვერ იტყვიან, რომ მე ეს საკითხები არ მაქვს დაყენებული. კანონპროექტის ავტორებს, ბატონ ირაკლი ტრიპოლსკის, ბატონ გიორგი ჟორჟოლიანს, ბატონ გია ვოლსკის და ჩემი გუნდის ყველა წევრს, რომ მე არ წავიდე დღეს მარტო ტყიბულელ მეშახტეებთან. ჩვენ ვერ გავექცევით საკუთარ წილ პასუხისმგებლობას“, - განაცხადა ელისო ჩაფიძემ.

ტყიბულში აქციები კვლავ გრძელდება. მათი პრობლემები, სამწუხაროდ, საერთაშორისო უფლედამცველი ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობოების, მთავრობისა და მედიის სათანადო ყურადღების მიღმა რჩება. მეშახტეები კი საზოგადოებისა და ხელისუფლების დახმარების გარეშე დამოუკიდებლად „საქნახშირის“ წინააღმდეგ ვერაფერს გახდებიან. გაფიცულებს სჭირდებათ მხარდაჭერა, რათა კანონის ფარგლებში მოხდეს მათი მოთხოვნების პასუხისმგებელი ორგანიზაციის მხრიდან დაკმაყოფილება. სხვა შემთხვევაში, ისედაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ტყიბულის მოსახლეობა უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან აქ მცხოვრებთა უმრავლესობა სწორედ მაღაროებშია დასაქმებული.

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ბრძოლა გაპოტრებული "მაესტროსთვის"

თამარ უმფრიანი

ტელეკომპანია „მაესტრო“ საზოგადოების ინტერესის საგანი კიდევ ერთხელ გახდა. საქმე ეხება არხზე მიმდინარე შიდა რეორგანიზაციას და მფლობელთა შორის დაპირისპირებას, რასაც არხის დირექტორის ბაია გადაბაძის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ „მაესტროს“ პარტნიორთა კრების მიერ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებული გადაბაძის საჩივარი არ დააკმაყოფილა. მისი განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა. გადაბაძე ვარაუდობს, რომ „მაესტროს“ საქმეში ხელიფუსლებაა ჩარეული.

„საქმეები, რომლის განხილვა დაახლოებით ორი თვე მიმდინარეობს, ზუსტად 24 საათში გააკეთეს. რასაც აქამდე ვეჭვობდი - პროცესში ხელისუფლება ირიბად ხომ არ ერევა მეთქი, ახლა ყველა მიზეზი მაქვს იმის სათქმელად, რომ ეს ასეა. სხვა არაფერი იკვეთება, თუ არა ხელისუფლების ჩართულობა“, - განაცხადა გადაბაძემ.

1 თებერვლის მონაცემებით, ტელეკომპანია „მაესტროს“ მფლობელთა წილების რეორგანიზაცია მოხდა. სამეწარმეო რეესტრში წარდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გიორგი გაჩეჩილაძემ, გიორგი ებრალიძისა და ლევან ჩიკვაიძისგან მათი აქციების 15-15% შეიძინა. შენაძენის საფასური კონფიდენციალურია და ცალკე შეთანხმებითაა განსაზღვრული. ამ შესყიდვით გაჩეჩილაძე ტელეკომპანიის დომინანტი მეწილე ხდება 55%-ით, ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი 15%-ს ფლობს, მაკა ასათიანი - 25%-ს, ხოლო ეკატერინე აკობიას 5% აქვს.

გაჩეჩილაძემ საკონტროლო პაკეტის შესყიდვის შემდეგ განაცხადა, რომ არხის რეორგანიზაცია და მენეჯმენტის შეცვლა სურს, რათა ის უფრო აქტიური გახდეს. ასევე, მან არხის დირექტორის ბაია გადაბაძის განთავისუფლება და პოსტზე მისი ძმის, ლევან გაჩეჩილაძის დანიშვნა მოითხოვა.

გადაბაძის თქმით, გაკოტრებული ტელეკომპანია რამდენიმე მილიონად გაიყიდა, რასაც კომერციული თვალისაზრისით ახსნა არ აქვს და ინტერესის საგანი შეიძლება მხოლოდ „მაესტროს“ ბრენდი იყოს, რომელსაც მავანნი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებენ.

ტელეკომპანია „იმედის“ არაოფიციალურ მმართველად წოდებული ირაკლი რუხაძის სახელი საქმეში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც გაჩეჩილაძემ ის წილის შესყიდვისას ფინანსურ მხარდამჭერად მოიხსენია. როგორც საქმიდან ირკვევა, რუხაძეს „მაესტროსადმი“ ინტერესი უკვე წლებია აქვს.

რუხაძე კოტე გოგელიას, მაკა ასათიანის ბიზნესმენ მეუღლეს ჯერ კიდევ 2015 წლის მაისში დაუკავშირდა და „მაესტროს“ ლიცენზიებისა და სიხშირეების მასზე გასხვისება 7 მილიონ დოლარად შესთავაზა. „რუხაძემ კოტე გოგელიას 2015 წლის 29 მაისს მისწერა და გარიგება შესთავაზა. კერძოდ, მას აინტერესებდა არა კომპანიის წილები, არამედ ბრენდი „მაესტრო”, ასევე ლიცენზიები და სიხშირეები. იგი ამ თანხას იხდიდა შინაარსში და არა მატერიალურ ღირებულებებში”, - ამბობს ბაია გადაბაძე, მაკა ასათიანის მხარე კი აცხადებს, რომ არ დაუშვებს „მაესტროს“ „იმედის“ ერთ-ერთ ფილიალად გადაქცევას.

გარიგება არ შედგა, თუმცა ბოლო წლის განმავლობაში არა ერთი მსგავსი შეთავაზება გაკეთდა მაკა ასათიანის მიმართ. რეალურად ის ერთადერთი მეწილეა, რომელიც ტელეკომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა და არხის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინვენტარის უდიდესი ნაწილიც ასათიანის მფლობელობაშია. მისი ადვოკატის თქმით, „მაესტროს“ წლებია უგროვდება ვალი და ის ტელეარხისგან ფინანსური ზარალის გარდა სხვა სარგებელს ვერ იღებს, თუმცა ასათიანს მაინც არ სურდა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით პარტნიორებისა და არხის უპასუხისმგებლოდ მიტოვება.

საბოლოოდ, 2015 წლის სექტემბერში მაკა ასათიანმა სასამართლოს მიმართა, რათა ტელეარხის გაკოტრებულად ეცნოთ. „რაც შეეხება „მაესტროს“ მიმდინარე საქმიანობას და მომავალს, მე, როგორც „მაესტროს“ ერთ-ერთი პარტნიორი, პირობას ვდებ საზოგადოებისა და ტელემაესტროს კოლექტივის წინაშე, რომ კანონის სრული დაცვით გავაკეთებ ყველაფერს, რათა ამ სამართლებრივმა პროცესებმა ხელი არ შეუშალოს ტელევიზიის შეუფერხებელ ფუნქციონირებას, სრულ სარედაქციო დამოუკიდებლობას და შემდგომ განვითარებას“, - აცხადებდა ასათიანი.

სასამართლოში განაცხადის შეტანის შემდეგ იმ დროინდელმა 25%-ის მფლობელმა გიორგი გაჩეჩილაძემ პარტნიორებს არხის რეორგანიზაცია და 10 მილიონიანი ინვესტიცია შესთავაზა, რომლის წარმომავლობის გამხელაც ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე არ ისურვა. თანამფლობელი კი ასეთ შეთავაზებას ნეგატიურად შეხვდნენ და გამჭვირვალობის დაცვის გარეშე თანამშრომლობა არ ისურვეს.

„მე არ ვაპირებ მატერიალურ ღირებულებად ვაქციო ის, რაც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუ სახელმწიფო ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ჩემზე მეტი მატერიალური ან რამე სხვა საშუალებები, აქვთ იძალადებს ჩემზე და უსამართლოდ წამართმევს ამ ყველაფერს, ისინი მოიპოვებენ გამარჯვებას მხოლოდ კონკრეტულ ბრძოლაში, ომს ვერასდროს მოიგებს მოძალადე“, - ამბობს ტელეარხის თანადამფუძნებელი მამუკა ღლონტი.

გაჩეჩილაძის ადვოკატი მიიჩვევს, რომ გაჩეჩილაძის გზიდან ჩამოშორების მიზნით არხის თანამფლობელებმა განზრახულად წამოიწყეს გაკოტრების პროცესი.

„ჩვენი მოქმედებები და არა ჩვენი სიტყვები მეტყველებს მაესტროს გადარჩენის სურვილზე. პირველად 2015 წლის 3 სექტემბერს წერილობით შევთავაზე გოგელიას მაესტროს მმართველობაში გადმოცემა და კომპანიის ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტია. 2015 წლის 20 ოქტომბერს დავიწყე სასამართლო დავა მაესტროსთვის სახელის დაბრუნების მოთხოვნით. წელს კი შევიძინე საკონტროლო პაკეტი ერთადრთი მიზნით - შემეცვალა არაეფექტური მენეჯმენტი და დამენიშნა დირექტორი, რომლის პირველი ნაბიჯი იქნებოდა მაესტროს მიზანმიმართული გაკოტრების პროცესის შეჩერება“ ,- ამბობს ახლა უკვე ტელეარხის დომინანტი მეწილე გაჩეჩილაძე.

მაკა ასათიანის ადვოკატის ინფორმაციით, კომპანიის მთავარი მეწილე არა გაჩეჩილაძე, არამედ „იმედის“ ფაქტობრივი მმართველი ირაკლი რუხაძე გახდა. თუ ეს ფაქტი დადასტურდა, გამოდის, რომ მათ დაარღვიეს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, მოხდა შპს სტუდია „მაესტროს“ ეკონომიკურ აგენტზე გასხვისება და კონტროლის მოპოვება იმ პირის მიერ, ვინც უკვე ფლობს სხვა კონკურენტ მედია საშუალებას. ხსენებული კანონის მეთერთმეტე მუხლის თანახმად, ვითარება ფასდება, ორი ეკონომიკური სუბიექტის უკანონო კონცეტრაციად, რომელიც თავსებადი არაა ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან და აქვს მცდელობა მოიპოვოს დომინირება სამაუწყებლო სფეროში. ასათიანის მხარე კონკურენციის სააგენტოს მიუწოდებს, მოხდეს აღნიშნული ფაქტის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება. ასევე, ბათილად გამოცხადდეს გარიგებები ყოფილ პარტნიორების წილების გასხვისებისა და გიორგი გაჩეჩილაძის მიერ მაესტროს საკონტროლო პაკეტის შესყიდის შესახებ.

კონკურენციის სააგენტო ავრცელებს განცხადებას, რომლის თანახმად, მათ ამ თემასთან დაკავშირებით განაცხადი დღემდე არ მიუღიათ. მსგავსი ტიპის მოთხოვნის შემთხვევაშიც კი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სააგენტოს აღნიშნული საკითხის სამართლებრივი განხილვის კომპეტენცია არ აქვს.

მედიის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „მაესტროს“ კონკურენტი ტელეარხის მფლობელზე გასხვისების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქმე გვექნება პირადი ინტერესებისთვის მედია საშუალების მიზნობრივ შესყიდვასთან, იქნება ეს პოლიტიზირებული თუ მიმართული მეორე მედია საშუალების დომინირებისკენ. ნებისმიერი მათგანი უარყოფითად იმოქმედებს ქვეყანაში თავისუფალი მედია სივრცის არსებობაზე და შეზღუდავს საზოგადოების უფლებას, მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე.

მარიამ ჯაში: ჩვენ ვქმნით ისტორიებს ათი ათასობით ადამიანთან ერთად

ბუჩანდა ძამელაშვილი ექსკლუზივი

საქველმოქმედო ფონდი „სოლიდარობა“ საქართველოს ყოფილი პრემიერ - მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით 2014 წელს დაარსდა. სულ ცოტა ხნის წინ „სოლიდარობამ“ მე–10 პერიოდული ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ფონდის დაარსებიდან 2015 წლის 31 იანვრამდე 5,7 მილიონ ლარზე მეტი შეგროვდა. შესაბამისად, გადაწყდა 215 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობა, მათ შორის 106 შემთხვევაში საზღვარგარეთ. იმის შესახებ თუ რას საქმიანობს ფონდი და რა სამომავლო ღონისძიებები იგეგმება მიმდინარე წელს „ობზერვერი“ ფონდ „სოლიდარობის“ აღმასრულებელ დირექტორს, მარიამ ჯაშს ესაუბრა.

ქალბატონო მარიამ, თქვენ 2014 წლიდან ხელმძღვანელობთ საქველმოქმედო ფონდს. რა იყო ფონდ „სოლიდარობის“ დაარსების წინაპირობა?

მოგეხსენებათ, რომ 2013 წელს საქართველოში უპეცედენტოდ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება და ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელმაც პრაქტიკულად ყველა მოქალაქისთვის საბაზისო სამედიცინო პაკეტი უზრუნველყო, მაგრამ ამ ფონზე კვლავ რჩებოდა განსაკუთრებით ძვირადღირებული სამედიცინო ჩარევები, რომელიც ვერ ფინანსდებოდა სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებიდან. გარდა ამისა, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე იყო სოციალური ფონი. გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის კვლევების მიხედვით, 70% ითვლებოდა სოციალურ–ეკონომიკურად დაუცველად. არ არსებობდა ერთიანი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა რესურსების მობილიზაციას და ძვირადღირებული სამედიცინო ან სხვა სოციალური საჭიროების წინაშე მდგარი ყველა შესაძლო ბენეფიციარის დახმარებას. სწორედ ერთიანი პლატფორმის შემუშავების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნებისა და გლობალური ორგანიზაციების გამოცდილების შეჯერებით დაარსდა „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“.

რა კრიტერიუმებით არჩევს ფონდი იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც მკურნალობა დაუფინანსდებათ?

დღეისათვის ჩვენი მთავარი კრიტერიუმი 22 წლამდე ასაკი და ონკოლოგიური დაავადებებია. „სოლიდარობის ფონდის“ პროგრამების გაფართოება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ჩართულობასთან. თუ დონაციები 400 ათას ლარამდე იქნება და ვერ შევძლებთ ამაზე მეტი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მაშინ დავრჩებით 22 წლამდე ბავშვთა და ახალგაზრდათა ონკოლოგიური დაავადებების პროგრამის ჭრილში. თუკი ყოველთვიურად საქართველოში დასაქმებული ან თვითდასაქმებული მილიონ ნახევარი ადამიანის, თუნდაც სიმბოლური, დონაციების მობილიზებას მოვახდენთ, ეს საშუალებას მოგვცემს, დავეხმაროთ 22 წელს ზემოთ პაციენტებსაც და დავიწყოთ შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვების დახმარება.

რამდენად ხშირად არის ფონდის ბენეფიციარების გარდაცვალების შემთხვევები და ვინ აფინანსებს მათ გადმოსვენებას?

სამწუხაროდ, უნდა გვესმოდეს, რომ ონკოლოგიური დაავადებები ძალიან რთულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. 2015 წელი იყო პირველი წელიწადი, როდესაც ფინანსური პრობლემის გამო სიმსივნით არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა არ დაღუპულა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს 215 დაფინანსებული ბენეფიციარიდან 80% აგრძელებს მკურნალობას, გვაქვს სრულად გამოჯანმრთელების ათობით შემთხვევა. 35 ბავშვთან გვქონდა ტრაგიკული შედეგი და ბავშვის საზღვარგარეთ გარდაცვალების ერთადერთი შემთხვევა. რაც შეეხება გადმოსვენების საკითხს, „სოლიდარობის ფონდი“ ჩართული იყო კოორდინაციაში, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო დიმიტრი ცინცაძის ფონდი, რომელმაც ბავშვის გადმოსვენებისთვის აუცილებელი ფინანსური დახმარება უზრუნველყო.

რა არის ფონდ „სოლიდარობის ფონდის“ დაფინანსების ძირითადი წყარო?

„სოლიდარობის ფონდი“ ინოვაციური დაფინასების მოდელზე ამოქმედებული ფონდია. ეს არის საჯარო და საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამა. ფონდის მინიმალური ადმინისტრაციული ხარჯებისთვის ბიუჯეტს გამოყოფს სახემწიფო. ჩვენი დონორების თითოეული ლარი პირდაპირ ხმარდება ბენეფიციარებს და არა ფონდის ადმინისტრაციულ ხარჯებს. რაც შეეხება შემოსავლებს, ეს გახლავთ 55 ათასზე მეტი საჯარო მოხელისა და 23 კომპანიის მიერ ყოველთვიურად რეგულარულად განხორციელებული დონაციები. თუმცა, ეს მცირე შემოწირულობებია, რომელიც ინდივიდუალური გადმორიცხვების შემთხვევაში საშუალოდ 3–4 ლარს შეადგენს, რის შედეგადაც ყოველთვიურად 270 ათასი ლარის შეგროვებას ვახერხებთ. გარდა ამისა, ტარდება საქველმოქმედო ღონისძიებები და ერთჯერადი დონაციები, რომელიც ასევე ემატება ერთიან თანხას.

ფონდის დაფინანსების რა წილი მოდის უბრალო მოქალაქეებზე, რომლებიც შემოდიან „სოლიდარობის“ ვებ-გვერდზე, რეგისტრირდებიან და ფულს რიცხავენ?

ცალკეული მოქალაქეების შემოწირულობები არ არის მაღალი. ალბათ ყოველთვიური დონაციების 5%-საც არ შეადგენს. თანხის 75%-ის შეგროვება ზოგადად საჯარო სექტორში დასაქმებული თანამშრომლებისგან ხდება, ხოლო დაახლოებით 20%-ს კერძო სექტორისა და ცალკეული საქველმოქმედო ღონისძიებებიდან ვიღებთ. ძალიან გვეხმარება თურქი ბიზნესმენი და მეცენატი გალიპ ოზთურკი, რომელმაც ფონდის დაარსებიდან დღემდე ნახევარი მილიონი ლარის დონაცია განახორციელა. ეს კერძო სექტორისა და ინდივიდუალური დონაციის უნიკალური მაგალითია.

რამდენად ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ან კომპანიები ფონდს საზღვარგარეთიდან ეხმარებიან?

ჩვენ გვყავს გერმანელი მეგობარი ჰაინც გენინბახი, რომელმაც მთელი გერმანიის მასშტაბით 20 ათასი ევროს ღირებულების პროექტისთვის თანხის მოგროვება უზრუნველყო. ასევე, გერმანიაში ქართველი შემოქმედების მონაწილეობით საქველმოქმედო საღამო გამართა. აღნიშნული პროექტი პირველი მარტიდან ამოქმედდება და გულისხმობს სიმსივნით დაავადებული 80 ბავშვის დიაგნოსტიკისთვის მასალების უფასოდ გაგზავნას გერმანიის ლაბორატორიაში, ასევე მოიცავს სხივური თერაპიის თანადაფინანსებასაც. ბატონი ჰაინცი 20 წელიწადზე მეტია საქართველოს მეგობარია. როდესაც მან „სოლიდარობის ფონდის“ არსებობის შესახებ შეიტყო, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი თავად გამოთქვა.

მთლიანობაში რამდენ და რომელ უცხოურ კლინიკასთან თანამშრომლობთ?

შარშან საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის დახმარებით თანამშრომლობის პროგრამის შესახებ მოთხოვნა 25 ქვეყნაში გავაგზავნეთ. შედეგად, გამოხმაურება მოხდა 11 ქვეყნის 25 კლინიკიდან. ამ კლინიკებთან თანამშრომლობით შეგვიძლია არა მხოლოდ შეღავათიან ფასად ვუმკურნალოთ ბავშვებს, არამედ განვახორციელოთ ერთობლივი პროგრამები, რათა საქართველოში მყოფ ბენეფიციარებსაც გავუწიოთ მომსახურება. სოლიდარობის ფონდის მთავარი მიზანი არ არის მხოლოდ ონკოლოგია, ჩვენი მიზანი გახლავთ საქართველოში სერვისის გაუმჯობესება. გვინდა, რომ ორი წლის შემდეგ ქართველ ბავშვს, რომელსაც სიმსივნე აქვს აღარ დასჭირდეს საზღვარგარეთ წასვლა. დღეს, სანამ ქვეყნის ჯანდაცვის სექტორს ამის შესაძლებლობა არ აქვს, 55 ათასი საჯარო მოხელისა და 23 კომპანიის მხარდაჭერით, არც ერთ ბავშვს არ ვტოვებთ ფინანსური დახმარების გარეშე. დღეისათვის ვთანამშრომლობთ შეერთებული შტატების წამყვან საუნივერსიტეტო კლინიკებთან, ჰარვარადის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ კიბოს ინსტიტუტთან, იელის უნივერსიტეტთან, ასევე სენ ჯუდის საავადმყოფოების ქსელთან, ევროპის წამყვან კლინიკებთან, ისრაელისა და იაპონიის კლინიკებთან და ა.შ.

რას წარმოადგენს „იდეაბოქსი“?

„იდეაბოქსი“ არის საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის წინადადებებისა და შემოთავაზებების სივრცე. ის განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურვილი აქვს, რომ მოგვაწოდოს იდეები თუ როგორ შეიძლება ფონდის პოპულარიზაცია და არსებული პროგრამების გაფართოება. ძირითადად, იდეები სოლიდარობის ფონდის საქმიანობის პოპულარიზაციის კუთხით სტუდენტური ორგანიზაციებისდან არის შემოსული. ჩვენ ასევე მივიღეთ წერილი დიასპორის ჩართულობასთან დაკავშირებით. დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს 2016 წელს დავიწყებთ და ძალიან აქტიურად ჩავრთავთ პროექტში განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, საბერძნეთში, იტალიასა და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს.

ფონდის საქმიანობის ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ახორციელებდა. პრემიერის შეცვლასთან ერთან იგეგმება თუ არა რამე ცვლილებები?

„სოლოდარობის ფონდი“ ისტორიული პროექტია საქართველოში, რომელიც მართლაც ღარიბაშვილის ინიციატივით დაარსდა. რაც შეეხება ფონდის საქმიანობის გაგრძელებას, მოქმედი პრემიერი ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე გახდა. გიორგი კვირიკაშვილი „სოლიდარობის ფონდის“ დიდი გულშემატკივარია და მისი თანადგომით იგეგმება პროგრამების შემდგომი გაგრძელება ფონდის საქმიანობის გაფართოების მიზნით. თუმცა, „სოლიდარობის ფონდის“ გაფართოება მაინც საზოგადოების ჩართულობასთან არის დაკავშირებული და მომავალში განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებზე.

სულ ცოტა ხნის წინ „სოლიდარობის ფონდმა“ გამოაქვეყნა მე–10 პერიოდული ანგარიში. რა არის მასში ყველაზე მნიშვნელოვანი?

მე–10 პერიოდული ანგარიშში, 2015 წლის 31 იანვრის მონაცემებით, ფონდის მიერ 5,7 მილიონი ლარის მობილიზება მოხდა, რისი საშუალებითაც ჩვენ უკვე დავამტკიცეთ 215 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მათ შორის, 106 შემთხვევაში საზღვარგარეთ. ათობით ოჯახს ჩვენ არა მხოლოდ მორალური და ფინანსური დახმარება გავუწიეთ, არამედ გადავარჩინეთ გაღარიბებას. არაერთი ბავშვის შემთხვევაში დავაფინანსეთ 150 ათას დოლარზე მეტი მკურნალობის ღირებულების ჩარევა, მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ 4 წლის ნიკუშა, რომლის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისთვის 167 000 დოლარი გამოიყო. სულ ახლახანს 15 წლის ბათუმელი გიორგისთვის 58 ათასი დოლარის დაფინანსება დავამტკიცეთ. ეს არის ისტორიები, რომელსაც ჩვენ ვქმნით ათი ათასობით ადამიანთან ერთად და თითოეული ადამიანის მონაწილეობა, თუნდაც სიმბოლური, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

„სოლიდარობის ფონდის“ ვებ-გვერდის მიხედვით, 2016 წლიდან შესაძლებელი იქნება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების ინდივიდუალური და კორპორატიული ნებაყოფლობითი სპონსორობის პროგრამების ამოქმედება. რას გვეტყვით ამ პროგრამაზე?

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენი ფონდის გაფართოება პირდაპირაა დაკავშირებული საზოგადოების ჩართულობასთან. თუკი გვყავს მილიონ ნახევარი ადამიანი (ეს რიცხვი არ მოიცავს საპენსიო ასაკის მოქალაქეებსა და სტუდენტებს), რომელსაც საშუალო შემოსავალი აქვს, სიმბოლურად თუნდაც ერთი ლარის გადმორიცხვა მილიონ ნახევარ ლარს შეაგროვებს, რითაც ჩვენ 22 წლის ასაკის ზემოთ სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს, შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვებს დავეხმარებით. მაგალითად, ბავშვებისთვის გულის ტრანსპლანტაცია, სამწუხაროდ, ვერ ფინანსდება ვერც ერთი სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამით. ‘სოლიდაროის ფონდი“ ის პლატფორმაა, რომელმაც შეიძლება ამ ადამიანების დახმარება შეძლოს თუკი საზოგადოება გვერდით დაგვიდგება. რაც შეეხება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების დახმარებას, ვგულისხმობთ ინდივიდუალური პატრონაჟის პროგრამებს. ვაპირებთ, რომ 2016 წლის ბოლოსთვის და 2017 წლის დასაწყისისთვის შევქმნათ ერთიანი პლატფორმა, რითაც განსაკუთრებით მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს საშუალება ექნებათ თავაინთი მონაცემები ჩვენს ერთიან სოციალურ ქსელში ატვირთონ. მათ, ვისაც აქვს ყოველთვიურად 100 ან 200 ლარით დახმარების საშუალება ინდივიდუალური პატრონაჟისთვის კონკრეტულ ოჯახთან დავაკავშირებთ. ეს გახლავთ პროექტები, რომელებიც ბევრ სხვა ქვეყანაში ხორციელდება.

სხვა რა გეგმები აქვს ფონდს 2016 წლის განმავლობაში?

2016 წლის განმავლობაში ფონდის პრიორიტეტებს სამი მიმართულება ექნება: ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოს „სოლიდარობის ფონდის“ საერთაშორისო პროექტის გაფართოება; საზოგადოების მობილიზება (თუ დღეს საჯარო მოხელეებისა 20% არის ჩართული, ეს რაოდენობა მაქსიმალურად გაიზარდოს) და პედიატრიული სერვისების გაძლიერება.

თბილისში შუშისთვალება 90-იანელი ბიჭები დაბრუნდნენ?!

ნინი ჯაფარიძე

მე წერეთელზე ვცხოვრობ. თითქმის ყოველ საღამოს მეგობრებთან ერთად სასეირნოდ დავდივარ. დღისით აქ ყველაფერი რიგზეა. ქუჩის დასაწყისი ხმაურიანია, სავსეა ვაჭრებითა და მოვაჭრეებით. ქუჩის ბოლო - "გამოფენა" კი შედარებით მშვიდია და კონსერვატული. აქ თბილისის მნიშვნელოვან ღონისძიებებს მართავენ. ცნობილი ადამიანებიც ხშირად დადიან. მაგრამ ცოტამ თუ იცის რა ხდება აქ საღამოს საათებში.

ნუთუ თბილისში შუშისთვალება 90-იანელი ბიჭები დაბრუნდნენ? - ეს ის შეკითხვაა, რომელიც დიდი ხანია მაწუხებს. რატომ მომრავლდნენ ასე "კაპიშონ ჩამოფხატული" შავებში შემოსილი წვერებიანი ახალგაზრდები? რატომ არიან ასეთი გაბრუებულები? ვეღარც ერთმანეთს ცნობენ და ვეღარც სხვებს ამჩნევენ.

საღამოს ათი საათი იქნებოდა გამოფენისკენ მიმავალ გზაზე, პოლიციიდან სულ რაღაც ათ მეტრში, მე და ჩემმა მეგობარმა ქუჩაში წაქცეული ბიჭი რომ ავაყენეთ. სისხლი სდიოდა, მუხლები გადატყავებული ჰქონდა. ჯერ ვიფიქრეთ, რომ ნასვამი იყო. მერე სისხლიანი მუხლები შევამჩნიეთ და გვეგონა ვინმესთან იჩხუბა, მაგრამ ახლოს რომ მივედით, მივხვდით, რომ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. ახალგაზრდა, რომელსაც საკმაოდ კარგად ეცვა და ძვირადღირებული ტელეფონი ეჭირა, თავს ვერ აკონტროლებდა. უმისამართოდ იქნევდა ხელებს და უაზროდ ბარბაცებდა. ვერ გაეგო სად იყო, ვინ იყო და ვისთან იყო. ჩვენს დანახვაზე ჯერ გაიცინა, შემდეგ კი, ტირილი დაიწყო. რამდენიმე ხანში ჟანგბადის უკმარისობის გამო ასთმური შეტევაც დაეწყო. აეროზოლი თან არ ჰქონდა. ძალიან შეგვეშინდა. სასწრაფოს გამოძახება რომ დავაპირეთ, გაბრაზდა და გაიქცა. ძალა რა თქმა უნდა არ ეყო. ისედაც გადატყავებული მუხლები უარესად აიტალახიანა და ათიოდე მეტრში იქვე დაეცა. არ სურდა ჩვენი ახლოს გაკარება, მაგრამ არც ის გამოვიდოდა, რომ "კაპიშონ ჩამოფხატული" ახალგაზრდის ქუჩაში დაგვეტოვებინა. ახლად გაცნობილ უცნობთან წერეთლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ სკვერში ორ საათზე მეტი დავყავით. თავზე ვადექით და იქამდე არ მოვეშვით, სანამ თავად არ შეძლო სიარული. შემდეგ სუნთქვა და ბოლოს საუბარიც.

ყველაზე საოცარი ამ ამბავში ის იყო, რომ გამოფხიზლების შემდეგ აღარც თავი სტკიოდა, აღარც ასთმური შეტევა ჰქონდა და რაც მთავარია, საერთოდ აღარაფერი აწუხებდა. ერთადერთი კვალი ძველი სნეულების გადატყავებული მუხლები და სისხლით დასვრილი შარვალი იყო. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი რომ ახლადშეძენილი ნაცნობი კარგად იყო, ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ შემაწუხა და ყველაფერი დეტალურად მოვაყოლე.

თენგო (პირობითდან) სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტია. წელიწადზე მეტია, რაც აკრძალულ სააფთიაქო ნივთიერებებს იღებს. აკრძალულს, ჩვენთვის ჯანსაღად მოაზროვნეთათვის, თორემ მისთვის ეს პრეპარატები სრულებით მისაღებია, ისინი არც სპეციალურ რეცეპტს საჭიროებენ და, რაც ყველაზე საინტერესოა, მათ ყიდვა-გაყიდვას ჩვენს ქვეყანაში კანონი არ კრძალავს. მიზეზი მარტივია. პრეპარატები, რომლებიც ადამიანზე ნარკოტიკულ ზემოქმედებას ახდენენ, აბრუებენ და დამოკიდებულებას იწვევენ, ნარკოტიკულ საშუალებად არ ითვლებიან.

"რამდენიმე წლის წინ ასთმური შეტევები დამეწყო. ექიმმა რამდენიმე პრეპარატი გამომიწერა მათ შორის იყო „ატროვენტი". ეს წამალი მაბრუებდა და დაღლას მიხსნიდა, მაგრამ მას რეცეპტის გარეშე ვერ იყიდდი. რამდენიმე ხანში აღმოავჩინე ისეთი პრეპარატები, რომლებსაც იგივე ეფექტი ჰქონდათ, მაგრამ რეცეპტს არ საჭიროებდნენ. მათ შორისაა „გრიმოდინი", რომელიც დღეს ძალიან პოპულარულია, „ლირიკა", „გაბაპენტინი" და „ბაკლოსანი". ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, ყველაფერი ერთად რომ დამილევია. კაფსულებია და ერთი ნაყლაპით იღებ იმ დოზას, რომელიც გჭირდება. ეს წამლები ძალიან იაფია. ყველას შეუძლია მათი ყიდვა", - განაცხადა თენგომ.

შეკითხვაზე აცნობიერებდა, თუ არა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი აკრძალული ნივთიერებები შესაძლოა ჯანმრთელობისთვის დამანგრეველი ყოფილიყო, განაცხადა რომ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან დამოკიდებულება აღნიშნულ პრეპარატებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ამათ მიღებაზე უარს ვერ შეძლებდა. მითუმეტეს, რომ ოფიციალურად ეს პრეპარატები არც იკრძალებოდა.

"ზარმაცი ადამიანი ხომ იცით, თუ აქვს შესაძლებლობა ყოველთვის იზარმაცებს. მეც ასე ვარ. ვიცი რომ ამ პრეპარატების მიღება არ შეიძლება. ხანდახან ვხვდები, რომ შრომისუნარიანი აღარ ვარ. თუ დოზა გადავამეტე ჰალუცინაციებიც მეწყება, მაგრამ ვერ ვჩერდები. ადრე ბიოს ვიღებდი. მერე აკრძალეს. გრიმოდინსაც ალბათ მხოლოდ მაშინ შევეჩვები თუ სხვა გამოსავალს არ დამიტოვებენ", - განაცხადა თენგომ.

თენგოს ისიც ვკითხეთ თუ სად ყიდულობდა მის მიერ ხსენებულ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს. მისი განმარტებით, პრეპარატების ყიდვა არც ისე რთულია. წამყვანი სააფთიაქო ქსელები მათ რეცეპტის გარეშე არ გასცემენ, თუმცა ჯერ კიდევ არის ისეთი მცირე ზომის აფთიაქები, სადაც წამლებს რეცეპტის გარეშე ყიდულობენ. თენგოს განმარტებით, მსგავსი აფთიაქები რკინიგზის სადგურთან, თამარ მეფის გამზირზე მდებარეობს.

"ფსიქოტროპული წამლები ცენ-ტრალურ აფთიაქებში რეცეპტის გარეშე აღარ იყიდება. ბიოს შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა, მაგრამ ვისაც უნდა, ის მაინც ახერხებს ყიდვას. რა თქმა უნდა, ვერ გეტყვით სად ვყიდულობ, მაგრამ დაახლოებით შემიძლია გითხრათ. თუ წახვალთ თამარ მეფის გამზირზე თქვენ თითონ ბევრ ფსიქოტროპულ აფთიაქს ნახავთ, სადაც წამლებს ურეცეპტოდ იძლევიან. იქ „გრიმოდინსაც" უპრობლემოდ იყიდით", - განაცხადა თენგომ.

გადავწყვიტე, რომ მცირე გამოძიებაც ჩამეტარებინა. თბილისის რამდენიმე წამყვანი აფთიაქი მოვინახულე, მათ შორის, წერეთელზე მდებარე "ავერსი", "პსპ", "ჯიპისი" და "ფარმადეპო". როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ძვირი "სიამოვნება" „გრიმოდინია". 60 ტაბლეტი 58 ლარი ღირს, 120 ტაბლეტი კი, 118 ლარი. თუმცა მისი, ისევე, როგორც სხვა ფსიქოტროპული წამლების ყიდვა რეცეპტის გარეშე შეუძლებელია. რაც შეეხება თენგოს მიერ ხსენებულ ფსიქოტროპულ აფთიაქებს თამარ მეფის გამზირზე, ჩვენ ისინიც მოვინახულეთ, თუმცა აღნიშნული წამლები რეცეპტის გარეშე არც იქ მოგვცეს ალბათ იმის გამო, რომ ვერ გვიცნეს.

მართალია, გამოძიებაში დილეტანტმა განსაკუთრებული სამხილი ვერ აღმოვაჩინე, თუმცა ფაქტი ჯიუტია - თუ თენგომ, ახალგარდა სტუდენტმა შეძლო ფსიქოტროპული მედიკამენტების ყიდვა, ესეიგი მათი შეძენა ნებისმირ მსურველს შეუძლია. იმედი გვაქვს, რომ შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან აღნიშნული საკითხით და დაარეგულირებენ მედიკამენტებისგან გამოწვეულ იმ საფრთხეს, რომელიც სულ მალე შესაძლოა მასობრივ ნარკო-დამოკიდებულებაში გადაიზარდოს. საზოგადოებას კი მეტი სიფრთხილე და დაკვირვება მართებს, რომ ამ ნივთიერებების მსხვერპლი ჩვენი საყვარელი ადამიანები არ გახდნენ.

“YAMAHA”-ს კონკურსზე ქართველი მუსიკოსი საუკეთესო ხუთეულში შევიდა

ნინი მაჭავარიანი | ექსკლუზივი

გაერთიანებული ემირატების ქალაქ დუბაიში 14 თებერვალს საყვირზე შემსრულებელთათვის *„Yamaha“*-ს ყოველწლიური კონკურსი გაიმართა, რომელში მონაწილეობის მიღება 24 წლამდე ასაკის კონსერვატორიის სტუდენტებს შეეძლოთ. უკრაინის, სომხეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზეირბაიჯანის, თურქმენეთისა და ბელარუსის წარმომადგენლებიდან პირველ ტურში 16 მუსიკოსი შეარჩიეს.

საქართველოდან კონკურსში ვალერიან საათაშვილი მონაწილეობდა. მან წარმატებით გაიარა კონკურსის ყველა ეტაპი და ფინალში გამარჯვებულ ხუთეულს შორის დასახელდა. „საქართველოდან ჩვენ როგორც *„Yamaha“*-ს ოფიციალურმა პარტნიორმა კონსერვატორიასთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის ფარგლებში შევარჩიეთ საუკეთესო სტუდენტი, რომელიც ერთ-ერთ გამარჯვებულად დასახელდა. ეს ნამდვილად დიდი წარმატებაა როგორც მომავალი ქართველი მესაყვირეებისთვის, ასევე პირადად მისთვის. მადლობას ვუხდით მას ასეთი მაღალი პროფესიონალიზმისთვის, რასაც ნამდვილად თავდაუზოგავი შრომით მიაღწია და კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებთ“, - განაცხადა საქართველოში *„Yamaha“*-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

„ჩემთვის უზომოდ სასიხარულოა იყო ის ფაქტი, რომ ცხოვრებაში პირველად მომეცა შესაძლებლობა გავცდენილიყავი სამშობლოს საზღვრებს და საქართველოს სახელით ფართომასშტაბიან კონკურსში მიმეღო მონაწილეობა. ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა და უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო *„Yamaha“*-ს საქართველოს წარმომადგენლობას ასეთი შესაძლებლობის მოცემისთვის, ნდობისა და მხარდაჭერისთვის“, - განაცხადა საათაშვილმა.

„ობზერვერთან“ საუბრისას მუსიკოსმა აღნიშნა, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდა, რადგან წარმატების მისაღწევად ზალიან ბევრს შრომობდა. ის თვლის, რომ კონკურსში გამარჯვება მას პროფესიულ წინსვლაში დაეხმარება და კარიერის გზაზე ბევრ მნიშვნელოვან კარსაც გაუხსნის.

„კონკურსზე მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება. ეს დიდი გამოცდილებაა და მუსიკოსი კარგ ხელოვანად სწორედ ასეთი პატარა დეტალებით ყალიბდება. ეს ის გზაა, რომელიც ყველა შემსრულებლმა უნდა გაიაროს“, - განაცხადა შემსრულებელმა.

ვალერიან საათაშვილმა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საორკესტრო ჩასაბერ და დასარტყამი ინსტრუმენტების ფაკულტეტზე ჩააბარა. ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მეოთხე კურსიდან კი ოსლოს კონსერვატორია *„Norge Academy Of Music“*-ში განაგრძო სწავლა.

„ოსლოში ყოფნის პერიოდში ერთ ძალიან მნიშვნლოვან რამეს მივხვდი: საქართველოში გაცვლითი პროგრამით მყოფ სტუდენტებს პატივი უნდა ვცეთ. აუცილებლად მოვა დრო, როდესაც ნებისმიერ ჩვენგანს მოუწევს სრულიად უცხო ქვეყანაში ცხოვრება. რა თქმა უნდა რთულია სხვა ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყება, სწორედ ამიტომ მათ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ჩვენს მიმართაც ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდეთ. სწორედ ამ ურთიერთობების დაფასება ვისწავლე. აქ ყოფნის პერიოდში, პროფესიული თვალსაზრისით ძალიან განვვითარდი და სრულიად სხვა ადამიანად ჩამოვყალიბდი“, - ამბობს მუსიკოსი.

ყველა მუსიკოსს საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობა სჭირდება როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული თვალსაზრისითაც. საათაშვილი მიიჩნევს, რომ ნორვეგიელი პროფესორები მას ბევრი დეტალის დახვეწაში დაეხმარნენ. „ისინი საქართველოს პროფესორებისგან გასხვავებით უფრო ინფორმირებულნი არიან. *„Norge Academy Of Music“*-ს შედარებით დიდი კულტურა აქვს“, - აღნიშნავს ის.

სამომავლოდ მუსიკოსი მაგისტრატურაში სწავლას აპირებს. უნდა, რომ ბედი სოლო კარიერაშიც სცადოს, თუმცა ორკესტრის დიდი ოჯახის წევრობასაც არ გამორიცხავს. მისი დიდი ნატვრა ოსლოს ორკესტრში დაკვრაა. საოცნებო ადგილი კი, სადაც კონცერტის გამართვას ისურვებდა- „კონცერტ გებაუს“ დარბაზია. საათაშვილი დარწმუნებულია, რომ შრომას აუცილებლად მოჰყვება შედეგი და ხელოვანებს მიზანდასახულობისა და შრომისმოყვარეობისკენ მოუწოდებს.

ფრანგული გალერეა "მაგი" საქართველოში შარფების გამოფენას მართავს

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში „მაგის“ აბრეშუმის შარფების გამოფენა გაიხსნა, რომელიც 23 თებერვლამდე გაგრძელდება. ექსპოზიციაზე „მაგის“ კოლექციიდან 50-მდე აბრეშუმის შარფია წარმომადგენელი, მათ შორის, ერთადერთია ქართველი მხატვრის გელა წულაძის ნამუშევარი - „ვარიაცია სიყვარულის თემაზე“. ნამუშევრები ცნობილი მხატვრების ესკიზების მიხედვითაა შექმნილი. ჟორჟ ბრაკი, მარკ შაგალი, ხუანი მირო, ალბერტო ჯაკომეტი, ფერნანდ ლეჟე, ერიკ დიეტმანი, ანტონი ტაპიერიეს იმ მხატვართა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც შარფებისთვის სპეციალურ ესკიზებს ქმნიდნენ.

„მაგის შარფების გამოფენის იდეა ერთი წლის წინ დაიბადა, როდესაც მე გალერეა „მაგის“ წარმომადგენლებს შევხვდი, მათ 30 წელიწადია ვიცნობ. ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა პარიზში გავაკეთე, 1982 წელს კი აბსტრაქტული სერიიდან ჩემი პირველი ნახატი გაიყიდა, რომელიც უცნობმა ახალგაზრდა გოგონამ შეიძინა. როდესაც მასთან სახლში მივიტანე ნახატი გავიგე, რომ ის მაგების შვილიშვილი ყოფილა. ასე შედგა ჩვენი ნაცნობობა და ამდენი ხანია ვმეგობრობთ. იქიდან გამომდინარე, რომ 11 ათასი ნიმუში აქვთ უკვე, შემომთავაზეს ამ ერთი დიდი ხის ერთი ფოთოლი საქართველოშიც გამოგვეფინა“, - განაცხადა მხატვარმა გელა წულაძემ.

გელა წულაძე 1980-იანი წლების ფრანგული „თავისუფალი ფიგურაციის“ მიმდევრობის სტილში მუშაობს. ნახატების გარდა სკულპტურებიც აქვს შექმნილი. მაგალითად, ქანდაკება „WHERE“ ბათუმში 2013 წელს დაიდგა. გელა წულაძე მისი თანაავტორია, ხოლო იდეის ავტორი ცნობილი ფრანგი ხელოვანი ჟან დიუფია. იგივე ქანდაკება პარიზში, ლუვრის ბაღში დგას. თბილისში კიდევ ერთი ქანდაკების „ველოსიპედის“ თანაავტორია.

მხატვრის თქმით, შარფების გა-მოფენა იმის გამო გადაწყდა, რომ მათი ტრანსპორტირება უფრო მარტივი და მოსახერხებელი იყო. საგამოფენო შარფები მაგებს 50 წელიწადზე მეტ ხანს აქვთ. პირველად 1957 წელს ჟორჟ ბრაკის, მეორედ - მარკ შაგალის, მესამედ - მიროს და ბევრი სხვა მხატვრის ნახატები გააჩუქეს. ეს არის ლიმიტირებული ტირაჟი, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ოჯახებში დევს და აღარ იყიდება. სამომავლოდ „მაგები“ ლითოგრაფიის, გრავიურისა და სხვა მრავალი ნამუშევრის გამოფენის ჩატარებას გეგმავს. ხელოვანმა ახალგაზრდა მხატვრებს მიმართა და აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია მხატვარს თავისი საქმე ძალიან უყვარდეს. მთავარია, მის ნამუშევრებში, რაც შეიძლება მეტი ფერადოვნება და მხიარულება სუფევდეს.

„მუზას არ უნდა დაელოდოს ხელოვანი. ხატვა, ეს არის პროცესი, რომელიც იწვევს მუზას - ეს პროცესი პირიქით არასდროს ხდება“, - აღნიშნავს შემოქმედი.

„მაგის“ შარფების პირველი გამოფენა 1984 წელს ლიონის „აბრეშუმის“ მუზეუმში გაიმართა, მეორე - 1990 წელს ტოკიოში, მესამე - 2015 წელს ბათუმშის „თანამედროვე ხელოვნების ცენტრში“, ხოლო რიგით მეოთხე 2016 წელს თბილისში, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვულ გალერეაში მიმდინარეობს.

ფრანგი მაგების ისტორია ომის პერიოდამდე იწყება. ბაბუა მაგი ტყვედ იყო ჩავარდნილი, მისი მეუღლე კი ბაზარში ბოსტნეულს ყიდდა. ძალიან მძიმე სიტუაცია იყო, რაღაც პერიოდის მერე ბოსტნეულის გაყიდვაც გართულდა. ტყვედ ჩავარდნილი ბაბუა სამშობლოში დაბრუნდა და მეუღლესთან ერთად მაღაზია გახსნა, სადაც რადიოებს ყიდდა. თუმცა, მალევე ეს საქმე არ გამოუვიდათ და გაკოტრდნენ. სწორედ ამ დროს მათ ცარიელ მაღაზიასთან უცნობმა მხატვარმა გამოიარა, დაინახა თავისუფალი სივრცე და მეპატრონეებს ნახატების გამოფენის მოწყობა შესთავაზა. რამდენიმე გამოფენა ჩაატარეს და დღეს უკვე 11 ათასი ხელოვნების ნიმუში აქვთ, ამ საქმეს მაგების მესამე თაობა აგრძელებს.

მარგარეტ და ემე მაგების ფონდი საფრანგეთში მოდერნისტული და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა ფორმის წარმოსაჩენის მიზნით 60-იან წლებში დაარსდა. მაგებმა მაშინ მსოფლიოში აღიარებული ხელოვანები შარფების ილუსტრაციების შესაქმნელად გააერთიანეს. ამჟამად მუზეუმი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, თანამედროვე ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის კოლექციებს მოიცავს.

„მეგის“ შარფების ექსპოზიცია ხაზს უსვამს აბრეშუმის გზის მნიშვნელობას და მის მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. გამოფენა მიზნად ისახავს, ქართულ - ფრანგული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებასა და ქართული სახელოვნებო სივრცის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობას.



ჰატომ ინტერესდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში სწავლის გაგრძელებით?

მარი ტაბატაძე

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობა ქართული საგანმანათლებლო სივრცით უფრო მეტად ინტერესდება. ამ პროცესის განსაკუთრებულ ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ქვეყნის ევროპულ პროგრამებში ჩართვა, რომელიც უცხოელ სტუდენტებს, გაცვლითი პროგრამების საშუალებით საქართველოში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევს. მეორე მხრივ კი, პროცესს ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობა ქვეყანაში, სადაც უცხოელ სტუდენტებს სწავლის გაგრძელება გამოცდების ჩაბარების გარეშეც შეუძლიათ.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ,,საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა" 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამას ადმინისტრირებას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტი.

პროგრამის ბენეფიციარები უცხო ქვეყნის ის მოქალაქეები არიან, რომლებიც ისწავლიან / სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ინიციატივა მოიცავს მათ დაფინანსებას ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის, ასევე, დოქტორანტურის, ქართველოლოგიისა და ქართულ ენაში მომზადების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სტატისტიკურად, საქართველოში ყველაზე მეტი სტუდენტი ინდოეთიდან ჩამოდის. მომდევნო ადგილებს კი აზერბაიჯანი, ნიგერია, თურქეთი, რუსეთი და შრი-ლანკა ინაწილებენ. სხვადასხვა პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის მისი ხელმისაწვდომობის მიზნით სრული ინფორმაცია აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამასთან, დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მოპოვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე შეუძლიათ.

საკითხის განხილვისას, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე საუბრისას, იგულისხმება ემიგრანტთა უმრავლესობაც, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქის სტატუსი მიენიჭათ.

სტუდენტთა ჩარიცხვები და სასწავლო გრანტების გაცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით მიმდინარეობს, რაც დასაშვებია უცხოელი სტუდენტებისთვისაც - იგულისხმება ეთნიკური ქართველები, აზერბაიჯანელები, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეები. ხოლო გამოცდების გარეშე საქართველოში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მეორე ვარიანტად განიხილება, რაც ერთი შეხედვით ძალიან მიმზიდველად ჟღერს. თუმცა, არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებსაც ბოლონიის პროცესი არეგულირებს. ატესტატების შესწავლის შედეგად იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ უცხოელ სტუდენტს თავის ქვეყანაში არ აქვს გავლილი რომელიმე აუცილებელი სასწავლო საგანი, ის ვერ შეძლებს სწავლის დაწყებას საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკაფიოდ ფორმულირებული წესებისა და განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, უცხოელ სტუდენტებს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა თუ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშეც შეუძლიათ. ეს მათი წახალისებისთვის საუკეთესო ბერკეტია, რომელიც საზოგადოების მკაცრად განსაზღვრული ნაწილისთვისაა განკუთვნილი. ამ შესაძლებლობის გამოყენების მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტები ვალდებულნი არიან განცხადებით მიმართონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და თან დაურთონ რამდენიმე მოთხოვნილი დოკუმენტი. გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა უცხოელ სტუდენტრთა მიზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

არანაკლებ საინტერესოა შემდეგი საკითხი - უცხოელ სტუდენტებს შორის ყველაზე პოპულარული მუდმივად სამედიცინო სფეროა და ეს ერთგვარ ტენდენციად არის ქცეული. ასევე მოთხოვნად სფეროებს წარმოადგენენ უცხო ენები, ბიზნესი, ისტორია და იურისპრუდენცია. ამასთან, უცხოელ სტუდენტთა მცირე რაოდენობა ინტერესდება ქართველოლოგიით.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის განათლების მიღება საქართველოში უფრო იაფი და ხელმისაწვდომია, ვიდრე ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. სავარაუდოდ ეს მათი დაინტერესების უმთავრესი მიზეზია. ამასთან, ბოლონიის პროცესში ჩართული ქვეყნები, ლისაბონის კონვენციის თანახმად, სხვა ქვეყნების დიპლომებს აღიარებენ. შესაბამისად, საქართველოში მიღებული განათლებითა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტებით, კურსდამთავრებულებს საკუთარ ქვეყნებში დასაქმების შესაძლებლობა აქვთ. დამატებითი ყურადღების ღირსია ე.წ. ,,რეგულირებადი პროფესიები", რომელთა შორისაა იურისპრუდენცია და სამედიცინო სექტორი. ისინი უცხოელი სტუდენტების მიერ დამატებით სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას საჭიროებენ, რათა მათ თავიანთ ქვეყანაში დასაქმება შეძლონ. თუმცა, სწავლის ხელმისაწვდომობისა და საფასურის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, უცხოელი სტუდენტები, საქართველოში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას მაინც იღებენ.

როგორც ,,საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის" პროგრამაშია აღნიშნული, გამოცდების გარეშე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, განათლების ხელმისაწვდომობა და თითოეული ამ მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამა, უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, რომელთა შორისაა უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის გრანტის გაცემის სახით ხარჯების ანაზღაურება. ეს პროგრამები ერთი მხრივ, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოდან ემიგრირებული ახალგაზრდების სამშობლოში დაბრუნების სტიმულირების კუთხით.

მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უცხოელთა ჩართვასა და, შესაბამისად, საქართველოს პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

ახალგაზრდების დასაქმების გამოწვევები და მთავრობის ახალი ინიციატივა

ნათია ბინაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ 18 თებერვალს განათლების სისტემის ცვლილებებზე იმსჯელეს. მათი გადაწყვეტილებით, საქართველოში პროფესიული განათლების გერმანული მოდელი და დუალური სისტემა დაინერგება. აღნიშნული რეფორმა დამსაქმებლის ჩართულობით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მიმართულებების, პროფესიების გამოკვეთასა და განხორციელებას გულისხმობს, რაც საბოლოო ჯამში სტუდენტების დასაქმებას უზრუნველყოფს.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, მნიშვნელოვანია, რომ რეფორმამ, შესაბამისი პროფესიების მიხედვით, სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლის ზრდა უზრუნველყოს. ხელისუფლებამ რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად, გერმანულ მხარესთან მოლაპარაკება უკვე დაიწყო.

განათლების სისტემიდან შრომის ბაზარში ჩართვა ყველა სტუდენტისა და კურსდამთავრებულის ერთგვარი გამოწვევაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სტუდენტთა რაოდენობა 124 223-ს შეადგენდა. ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა ამავე წელს 22 000 იყო. კვლევებიდან ირკვევა, რომ მათი უმრავლესობა აქტიურად ეძებს სამსახურს საკუთარი პროფესიით, თუმცა უშედეგოდ.

„გაეროს ბავშვთა ფონდმა“ 2014 წელს ჩაატარა ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში, კერძოდ, 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება. ამ ასაკის სამუშაო ძალის ახალგაზრდებიდან 36,3% უმუშევარია. ფონდის კვლევის მიხედვით, უამრავი ახალგაზრდა უმუშევრობის ფაქტის წინაშე თვეების და წლების განმავლობაში დგება, სანამ ფორმალური განათლების დასრულების შემდეგ პირველ სამსახურს იპოვის, თუმცა, პერსონალური კონტაქტების გარეშე ეს რთულია.

არასამთავრობო ორგანიზაციის ,,CRRC საქართველოს“ 2015 წლის კვლევის თანახმად, 78 გამოკითხული ქართველ კურსდამთავრებულისგან დასაქმებული 67 ანუ 86% აღმოჩნდა და მათგან 31,25%-მა სამსახური პირადი ან ოჯახური კავშირების გამოყენებით იპოვა, ხოლო 17.50%-მა კი, სხვა კონტაქტების საშუალებით. მხოლოდ 17.50% აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც მუშაობა დასაქმების ვებ-გვერდებიდან დაიწყეს. ორგანიზაცია კვლევის შედეგების მიხედვით იუწყება, რომ რიგით კურსდამთავრებულს, რომელსაც კავშირები არ აქვს, მხოლოდ დასაქმების ვებგვერდებზე დაყრდნობით, სამუშაოს მოძებნის დაახლოებით 18% შანსი აქვს, რაც საკმაოდ დაბალია.

თამარი 24 წლის კურსდამთავრებულია. მან ორი წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ფილოლოგია დაამთავრა, თუმცა ამბობს, რომ საკუთარი პროფესიით არასოდეს უმუშავია.

,,მხოლოდ ორ თვიანი უფასო სტაჟირების პროგრამა მაქვს გავლილი იუსტიციის სახლში და გადმომეცა მადლობის სიგელი. ყოველთვის ვაგზავნიდი ჩემს მონაცემებს სხვადასხვა კომპანიებსა თუ სახელმწიფო დაწესებულებებში, თუმცა უშედეგოდ. ახლა ერთ-ერთ ბანკში ვმუშაობ, რა თქმა უნდა, სხვა პროფესიით“, - ამბობს ის და იმედოვნებს, რომ მომავალში საკუთარი პროფესიით დასაქმებას შეძლებს.

,,მთავარი უნივერსიტეტის დამთავრება არაა, შედეგი შენი პროფესიით დასაქმება უნდა იყოს და არა სხვა პროფილით მუშაობა. ახლა ფულს ვაგროვებ, რომ მაგისტრატურაში ჩავაბარო და იმედი მაქვს, რომ მომავალში მაინც მომეცემა ჩემი პროფესიით მუშაობის შესაძლებლობა. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო ამ კუთხით უნდა მუშაობდეს და სტუდენტებს მეტი პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალება უნდა მისცენ, რათა დასაქმების შანსი შედარებით მაღალი იყოს“, - აღნიშნავს თამარი.

ახალგაზრდების უმუშევრობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში გავრცელებული ნეპოტიზმია. საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობას“ 2011 წელს შეუერთდა და ერთ-ერთი ვალდებულების მიხედვით, საჯარო სამსახურში მიღება გამჭვირვალე და მიუკერძოებელი უნდა იყოს. 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით საჯარო სამსახურებში ნეპოტიზმი უნდა აღმოფხვრილიყო, თუმცა საქართველოს მოქალაქეები აღნიშნული პრობლემის წინაშე ისევ ხშირად დგანან.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 2015 წელს ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების აზრის გამოკითხვას ნეპოტიზმისა და კორუფციის შესახებ. კვლევის მიხედვით, თანამდებობის პირების მხრიდან ღია კონკურსის გარეშე საკუთარი ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმება გამოკითხულთა 5%-ისთვის გამართლებულია. აქედან 1% თვლის, რომ ნეპოტიზმი სრულიად მისაღებია, ხოლო 4% აღნიშნულ ფაქტებს ნაწილობრივ ამართლებს. კერძო სექტორში მსგავი დასაქმება 19%-ს მიაჩნია გამართლებულად, აქედან 4% სრულად ამართლებს ნეპოტიზმს, ხოლო 15% - ნაწილობრივ.

ნეპოტიზმი დანაშაულად და სირცხვილად უნდა აღიქმებოდეს და არა ყოველდღიურ ნორმად. საგულისხმოა, რომ არც საჯარო სამსახურში და არც კერძო სექტორში პრობლემის აღმოსაფხვრელად მუშაობა არ დაწყებულა, საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ნეპოტიზმის პრობლემაზე მუშაობა მხოლოდ რამდენიმე ჩატარებული კვლევით მთავრდება.

მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, ახალგაზრდებისთვის უამრავი სამუშაო ადგილი არსებობს, არც ერთი კვლევით არ მყარდება. დამსაქმებლის მოთხოვნები დასასაქმებელთა კვალიფიკაციას აცდენილია. მთავარი გამოწვევა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის არასწორად გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსებია.

პრემიერ-მინისტრის თქმით, კურსდამთავრებულთა უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრას საგანმანათლებლო ცვლილებები სჭირდება, თუმცა პირველ რიგში, შიდა რეფორმებია განსახორციელებელი, რათა ყველას ჰქონდეს კონკურსის გავლის თანაბარი პირობები და მაქსიმალურად არგუმენტირებულად და გამჭვირვალედ მოხდეს კონკრეტული პირის ამა თუ იმ ვაკანსიაზე დანიშვნა.

2012 წელს „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმად, საჯარო სამსახურში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადება სავალდებულო გახდა. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება ამარტივებს როგორც კონკურსის გამოცხადების, ასევე მასში მონაწილეობის მიღების პროცედურას. თუმცა საზოგადოების უმრავლესობა საჯარო სამსახურში ჩატარებულ კონკურსებს უნდობლობას უცხადებს.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) ამა წლის 15 თებერვალს აქვეყნებს საზოგადოების აზრის კვლევას. გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ ვაკანტურ თანამდებობაზე არა კონკურსში მონაწილე პირი, არამედ დროებითი მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება, ზოგჯერ კი, განცხადების გამოქვეყნებისას პირი უკვე დანიშნულია და კონკურსს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურში დასაქმების ვებგვერდის ეფექტურობის განსაზღვრა. IDFI-ს კვლევის თანახმად, *hr.gov.ge* აპლიკანტებისთვის სამართლიან და გამჭვირვალე საკონკურსო გარემოს ვერ უზრუნველყოფს.

hr.gov.ge-ის ვებგვერდზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მინიმუმ ერთწლიან გამოცდილებას ითხოვენ, რაც კურსდამთავრებულთა უმეტესობას არ გააჩნია. შესაბამისად, საიტი ახალგაზრდების დასაქმებას ხელს არ უწყობს. ვებგვერდზე შექმნის დღიდან არაფერი შეცვლილა და დღემდე ერთი ფორმატით მუშაობს. აპლიკანტმა დარეგისტრირებისას უნდა შეიტანოს ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა ოჯახის წევრების ვინაობა, ასაკი, მათი სამსახური და ა.შ. აღნიშნული ფაქტი კი დისკრიმინაციული ხასიათისაა. სახელმწიფო ამ კუთხით კერძო სექტორს მაგალითს ვერ მისცემს. ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო სტრატეგია და არც პრიორიტეტი, რომელიც ასახავდა დასაქმების პრობლემას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში. ევროპულ ქვეყნებში პროფესიული სტაჟირება უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამის ნაწილად იქცა, რათა კურსდამთავრებულთა შრომისუნარიანობა უფრო მაღალი იყოს. საქართველოში კი, სტაჟირება ოფიციალურად გამოცდილებად არ ითვლება. შესაბამისად, ახალგაზრდებს გავლილი რამდენიმე თვიანი (ზოგჯერ ერთწლიანი) უფასო სტაჟირება დასაქმებაში ვერ ეხმარება.

პროექტი ,,საზაფხულო დასაქმება“ ამ მხრივ ერთადერთი მცდელობა იყო სახელმწიფოს მხრიდან, რომელმაც სტუდენტები მხოლოდ ერთი თვით დაასაქმა, თუმცა მან ახალგაზრდების მხრიდან დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. არჩევნების შემდეგ მოქმედმა ხელისუფლებამ პროექტი ყოფილი მთავრობის მიერ ჩატარებულ წინასაარჩევნო ერთჯერად აქციად შეაფასა და გააუქმა. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ სამინისტროს დასაქმების ფუნქცია არ გააჩნია, იგი მხოლოდ განათლების გაცემაზეა ორიენტირებული, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ განათლება საკუთარი პროფესიით დასაქმებისთვის საკმარისი არაა.

აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად საქართველოს ხელისუფლება 2017 წლის პირველი იანვრიდან საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი კანონის ამოქმედდებას გეგმავს. საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი, ეკატერინე ქარდავა ამბობს, რომ რეფორმას საჯარო სექტორში ძირეული ცვლილებები მოჰყვება.

,,2017 წლიდან საჯარო სამსახურის ბიურო მოქალაქეებს სერტიფიცირების პროგრამას შესთავაზებს, რადგან პირი ვეღარ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას სერთიფიკატის გარეშე, ამ წელს მინიმუმ ორჯერ ჩატარდება ასეთი ტიპის სერტიფიცირება“, - აღნიშნავს ქარდავა.

მისივე თქმით, ცვლილებები კონკურსის ჩატარების პროცესსაც შეეხება, რათა იგი უფრო გამჭვირვალე გახდეს. ,,ე.წ. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს კომისიაში ვეღარ ვიხილავთ. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან საჯარო მოხელეები და ექსპერტები, რომლებიც დამოუკიდებლად დააკვირდებიან პროცესებს“, - ამბობს საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი.

მთავრობამ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების აღმოსაფხვრელად სხვადასხვა გეგმა შეიმუშავა. მათ შორისაა განათლების გერმანულ მოდელზე მუშაობა, რომელიც სასწავლო პროცესში მეტ პრაქტიკას შეიტანს, თუმცა გაურკვეველია როდის დაიწყება აღნიშნული პროექტი. საჯარო სამსახურის ბიუროს ცვლილებებიც მომავალ წლამდე არ ამოქმედდება. ნეპოტიზმი, კონკურსის გაუმჭვირვალობა, საჯარო სამსახურის საიტის გაუმართაობა, სტაჟირების ნაკლებობა და მისი ოფიციალურ გამოცდილებად არ აღიარება კვლავ რჩება ახალგაზრდების გადაუჭრელ პრობლემებად. თუმცა, იმედია, რომ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი რეფორმები პროდუქტიულ შედეგს მალე გამოიღებს და ახალგაზრდებსაც დასაქმების მეტი შესაძლებლობა მიეცემათ.

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35	+1	735	03:30
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55		735	03:55

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი განახლდა

ვახო ყიფიანი

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები საინტერესო გამოდგა. ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ზუგდიდის ,,ზუგდიდმა'' ბათუმის ,,დინამოს'' უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. მატჩის ერთადერთი გოლი ბათუმელთა სერბმა ახალწვეულმა მარკო მიხაილოვიჩმა 43-ე წუთზე გაიტანა. ამ გამარჯვებით ბათუმელებმა მეშვიდე ადგილიდან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლეს.

ფრედ დასრულდა მატჩი ქობულეთის ,,შუქურასა'' და სამტრედიის ,,სამტრედიას'' შორის. გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და თითო ქულა ჩაიწერეს აქტივში. პირველ ტაიმში ანგარიში გრიგოლ დოლიძემ 22-ე წუთზე გახსნა და ქობულეთელებმა პირველი ტაიმი მოიგეს. მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში ბუდუ ზივზივაძემ ანგარიში გაათანაბრა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ნამდვილი საფეხბურთო თრილერი ვიხილეთ ზესტაფონში. თერჯოლის ,,საპოვნელამ''თბილისის,,დინამოს''უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. მატჩის პირველი ტა-იმი 0:0 დასრულდა.

პირველ ტაიმში ,,საპოვნელა'' თავს იცავდა, ,,დინამო'' კი არცთუ მხნედ უტევდა. მეორე ტაიმში გუნდები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ გოლი არ გადიოდა. ანგარიში 72-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით თენგიზ ჩიკვილაძემ გახნა, თერჯოლელთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. სამ წუთში წონასწორობა გიორგი ქვილითაიამ აღადგინა, ხოლო მატჩის მეხუთე დამატებულ წუთზე მსაჯმა ,,საპოვნელას'' კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც პირველ ჯერზე ,,საპოვნელას'' მეკარემ მოიგერია. მსაჯმა ,,დინამოელთა'' შემტევს, ალექსანდრე იაშვილს თერთმეტმეტრიანის დარტმის საშუალება ხელმეორედ მისცა. ამჯერად იაშვილი ზუსტი იყო და ,,დინამოელებმაც'' აქტივში სამი ქულა ჩაიწერეს.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: ,,საბურთალო'' - ,,ცხინვალი'' 2:2; ფოთის ,,კოლხეთი'' - ,,გორის ,,დილა'' 0:1; მარტვილის ,,მერანი'' - ქუთაისის ,,ტორპედო'' 2:1; ბოლნისის ,,სიონი'' - ,,ლანჩხუთის ,,გურია'' 1:1; თბილისის ,,ლოკომოტივი'' - ,,საჩხერის'' ,,ჩიხურა 2:2.

ჩემპიონატში 43 ქულით თბილისის ,,დინამო'' ლიდერობს, მეორე ადგილზე მოქმედი ჩემპიონი გორის ,,დილაა', რომელსაც 38 ქულა აქვს. მესამე ადგილს 33 ქულით ცხინვალის ,,ცხინვალი'' იკავებს.

სპორტული სიახლეები

ფეხბურთი

2016-2020 წლებში ფეხბურთის განვითარების პროგრამა 265,7 მილიონი ლარით დაფინანსდება.

- სახელმწიფო პროგრამის მიზნები და ამოცანებია:
- ფეხბურთის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა
- კონკურენტიანი, თავისუფალი საფეხბურთო ბაზრის შექმნა
- საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- კერძო ინვესტიციების სტიმულირება კლუბებში
- საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამები
- მასობრივი ფეხბურთის ახალი პროგრამები (ქალთა ფეხბურ-თი, ჭაბუკთა პირველობები, ფუტსალი, პლაჟის ფეხბურთი, სასკოლო პირველობები და სხვა).

* * * * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონს" შორის საჯარო

ხელშეკრულება გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, ფეხბურთის ფედერაციას დავით აბაშიძის სახელობის სტადიონისა და ზესტაფონში მდებარე საფეხბურთო ბაზის ერთ-ერთი მოედნის გამოყენების შესაძლებლობა ექნება. მხარეებს შორის გაფორმებული სამთვიანი კონტრაქტის ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების გარდა 28 მარტს საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გაიმართება.

ჭიდაობა

18 თებერვალს მინსკში დასრულდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის "ალექსანდრ მედვედის თასის" გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ჯამში 5 მედალი მოიპოვა - 2 ოქრო და 3 ბრინჯაო. ტურნირის ჩემპიონები ზურაბ იაკობაშვილი (70) და გენო პეტრიაშვილი (125) გახდნენ, მესამეზე ადგილზე კი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), დავით მარსაგიშვილი (86) და ელიზბარ ოდიკაძე გავიდნენ.

კალათბურთი

19 თებერვალს, კალათბურთის ფედერაციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ ბოისამ ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი წარადგინეს. ბერძენმა სპეციალისტმა კალათბურთის ფედერაციასთან 1+1 წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კონტრაქტი 2017 წლის ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების გასვლის შემთხვევაში ავტომატურად გახანგრძლივდება.

რაგბი

"უმცროსი ბორჯღალოსნები" ქართული რაგბის ისტორიაში პირველად იასპარეზებენ ტურნირში, სადაც მსოფლიოს 12 უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრები იქნება წარმოდგენილი. მსოფლიოს ჩემპიონატი 5-25 ივნისს ინგლისის ქალაქ მანჩესტერში გა-იმართება. "უმცროსი ბორჯღალოსნები" სამხრეთამერიკულ ტურნეში გაემგზავრნენ, სადაც 2-2 მატჩს არგენტინელ და ურუგვაელ თანატოლებთან გამართავენ.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.

0179, Tbilisi, Georgia

E: info@observer.com.ge

T: +995 557 68 36 53